აჯაჯი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჯაჯი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი ● №1-2 (№192-193) ● იანვარი-თებერვალი 2018 წელი

თებერვალი დადგაო

„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?"

გვ.4-5

უსასრულოდ დასმული შეკითხვების მიღმა დამალული ერთი პასუხი...

გვ.12

კონფერენცია აწსუ-ში

გვ.3

კულტურულ-ლიტერატურული ოდისეა 1920-იან წლებში...

გვ.6

სახელმძღვანელო ქართულ ისტორიოგრაფიაში

გვ.3

ინტერვიუ იუბილართან

გვ. 7

***

აწსუ მედიცინის ფაკულტეტი საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით ცდილობს სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, 22 და 23 იანვარს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სანტა ფე, ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტის კლინიკური დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა, ნიუ-მექსიკოს საოჯახო მედიცინის რეზიდენტურის პროგრამის დირექტორმა, რაისა ჩიორნიმ წაიკითხა სალექციო კურსი საოჯახო მედიცინაში, სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნა ამ მიმართულებით აქტუალური და პრობლემატური თემატიკა. სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში უცხოელი პროფესორებისა და მედიცინის დარგის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობის მსგავსი შემთხვევები ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდას.

***

25 იანვარს, აწსუ სამკითხველო დარბაზში გაიმართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის პროექტისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების საჯარო განხილვა. ღონისძიებას დაესწრნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პირველი ვიცე-მერი გიორგი იობაშვილი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი გენადი მარგველაშვილი, ბიზნეს-სექტორის, ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლები, რომელთაც წინასწარ დაეგზავნათ აღნიშნული სტრატეგიის პროექტი. ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა

***

24-25 იანვარს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის ინიციატივით, განახლებული, ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, პილოტირების პროცესი განხორციელდა. უმაღლესი საგამანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური შეფასების პროცესში, ქართველ ექსპერტებთან ერთად, სპეციალური მოწვევით, ჩართული იყო უცხოელი ექსპერტი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: 1. ENQA-ის ავტორიზაციის საერთაშორისო ექსპერტი, მასარიკის უნივერსიტეტის(ჩეხეთი) პროფესორი - მილან პოლი; 2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი - ირინე დარჩია; 3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი - ნიკოლოზ ფარჯანაძე. 4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - რუსუდან სანაძე. ექპერტთა ვიზიტის დღეებში, წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით ინტერვიურების პროცესში ჩართული იყო აწსუ–ის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლი, აკადემიური საბჭოს წევრები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, თვითშეფასების პროცესში ჩართული ყველა პირი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. შეხვედრები მიმდინარეობდა ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად საკითხების განხილვისა და არსებული სიტუაციის ანალიზის რეჟიმში. პილოტირების ბოლოს შემაჯამებელ შეხვედრაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ამ პროცესში ჩართულ ყველა პირს გააცნო ძირითადი საკითხები, რომელთა განხილვის შედეგად უკვე შემუშავებულია სამოქმედო გეგმები, რამაც მომავალში უნდა უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობა.

***

20 თებერვალს უნივერსიტეტში ჩატარდა *CERN*-ის (ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია) მიერ ორგანიზებული საერთაშორისო მასტერკლასი ნაწილაკების ფიზიკაში. მასტერკლასის მიზანი იყო 15-20 წლის ახალგაზრდებში ფიზიკის პოპულარიზაცია. ტუტორიალს უძღვებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბირთვული ინჟინერიის ცენტრის თანამშრომლები. საერთაშორისო მასტერკლასმა ნაწილაკების ფიზიკაში, შესაძლებლობა მისცა აწსუ სტუდენტებსა და ქუთაისის სკოლების შერჩეულ მოსწავლეებს *CERN*-ში მიმდინარე ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აღმოჩინათ კვარკების და ლეპტონების სამყარო. ასევე მონაწილეები შეხვდნენ მეცნიერებს, რომლებიც იკვლევენ ნაწილაკების ფიზიკაში და გაიცნეს თანამოაზრე ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნებიდან. რამდენიმე ლექციისა და პრაქტიკული მუშაობის შედეგად, მასტერკლასის მონაწილეებმა შეძლეს, ნაწილაკებსა და მათ შორის მიმდინარე პროცესებში გარკვევა. მასტერკლასის თემა იყო ნაწილაკების ფიზიკა, *CERN*-ში მიმდინარე ექსპერიმენტები და დეტექტორები. თეორიული კურსის შემდეგ, მასტერკლასის მონაწილეებმა დაამუშავეს ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემები და აღმოაჩინეს სხვადასხვა ნაწილაკები. მასტერკლასი არის ძალიან პოპულარული ღონისძიება, რომელშიც ჩართულები არიან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები. 20 თებერვალს მასტერკლასის პარტნიორები არიან: თრიესტე *University (Italy), Zagreb University (Croatia), Pavia Univrsity (Italy), Pozega university, (Croatia).* მასტერკლასის დასასრულს მოეწყო ვიდეო კონფერენცია *CERN*-ის ექსპერტებთან შესახვედრად. მოხდა მონაწილეების მიერ მიღებული შედეგების განხილვა და აღნიშნული უნივერსიტეტების მონაწილეების შედეგებთან შედარება, გაიმართა ონლინ დისკუსია. მასტერკლასის მონაწილეებს გადაეცათ ინგლისურენოვანი სერტიფიკატები.

***

23 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტმა და ჯანმრთელობის მართვის ცენტრმა ჩაატარა ერთობლივი ღონისძიება: „უსაფრთხო თერაპია-თანამედროვე მედიცინის გამოწვევა". ღონისძიებაზე მოწვეული იყო ალეკო ხელაია, მედიცინის დოქტორი, უროლოგიის ეროვნული ცენტრი, მამაკაცის ჯანმრთელობის მართვის კაბინეტის ხელმძღვანელი, *ESSM,ESHRE,ASRM* წევრი, შეხვედრაში მონაწილეობდნენ რეპროდუქტოლოგები, გინეკოლოგები, უროლოგები და ოჯახის ექიმები.

კონფერენცია აწსუ-ში

21 თებერვალს უნივერსიტეტში აწსუ-ის რექტორატის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ისტორია-არქეოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 155-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი დავთაძემ. კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს საინტერესო მოხსენებები: პროფ. სულხან კუპრაშვილი — "ექვთიმე თაყაიშვილი - ცხოვრება და ღვაწლი"; პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი - "ექვთიმე თაყაიშვილი და "სამუსლიმანო საქართველო"; პროფ. ომარ გვეტაძე - "ექვთიმე თაყაიშვილი და ძველი ქართული მწერლობა"; ასოც. პროფ. მერაბ ჭუმბურიძე - "ექვთიმე თაყაიშვილი ქართული არქეოლოგიის სათავეებთან"; მიმოზა ჟორჟოლიანი - "ექვთიმე თაყაიშვილი - ქართული სამუზეუმო საქმის ფუძემდებელი".

კონფერენციას ესწრებოდნენ ფილმ „ექვთიმე ღვთისკაცის" გადამღები ჯგუფი და მსახიობები, აგრეთვე (ა)იპ ქ. ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" მმართველი რევაზ თედორაძე, მმართველის მოადგილეები ბაია კოღუაშვილი და ვლადიმერ პატარიძე.

სახელმძღვანელო ქართულ ისტორიოგრაფიაში

2016 წელს გამოვიდა ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორის ევგენი ბლიაძის სახელმძღვანელო „ქართული ისტორიოგრაფია" (ლექციების მოკლე კურსი). ბ-ნი ევგენი ბლიაძის სახელმძრვანელო 15 თემად არის დაყოფილი, ხოლო თითოეული თემა - რამდენიმე პარაგრაფად. წიგნი 236 გვერდისაგან შედგება. როგორც წესი, ნაშრომს თან ახლავს თემების ანუ თავების ბოლოს გამოყენებული ქართული და უცხოური ლიტერატურა.

საკითხები სახელმძღვანელოში დისკუსიებისა და დებატებისათვის თემების მიხედვით არის განაწილებული. წიგნს ახლავს დანართები სილაბუსის სახით ქართულ ისტორიოგრაფიაში და დანართი N2 ივ.ჯავახიშვილის "ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია".

ისტორიოგრაფია ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი დისციპლინაა. ისტორიოგრაფისთვის შესწავლის ობიექტს ისტორიის განვითარება წარმოადგენს. ისტორიოგრაფიის ამოცანები რომ გავამარტივოთ, მივიღებთ ფაქტების შეგროვების ისტორიას და ისტორიული იდეების განვითარების შესწავლას. ისტორიოგრაფია პირველ რიგში ამოკლებს საკვლევი ობიექტის შემეცნების გზას. ნაცვლად იმისა, რომ მასალის განხილვა ყოველთვის ამოსავალი წერტილიდან იყოს დაწყებული, მკვლევარი ისტორიოგრაფიის წყალობით, როგორც „დროის მანქანაში", ისე ზღაპრულად მოკლე დროში გაივლის იმ გზას, რაც თაობებს დასჭირდებათ საუკუნეების მანძილზე.

ისტორიოგრაფია დიდი ისტორიული პერიოდის ჩარჩოებში ხსნის ისტორიული ლიტერატურის მიმართულებებს და მსოფლმხედველობით კონცეფციებს.

წიგნში ვკითხულობთ:

„ქართული ისტორიოგრაფიული შემოქმედება ისევე ძველია, როგორც ქართული საზოგადოება. ქართული ხალხური ზეპირ თქმულებებში უძველესი ისტორიული აზროვნების არა ერთი ელემენტი შეინიშნება. უცხო დამპყრობლებთან („სპარსებთან") ტომთა ბრძოლის ეპიკური გადმოცემანი იყო. შეიძლება ვამტკიცოთ - წერს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, - ერთ-ერთი ისტორიული წყარო, რომლის ნიადაგზე შეიქმნა მხატვრულ-ისტორიული მოთხრობა კავკასიის მკვიდრთა საერთო ბრძოლისა, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში რომ აისახა."

ბ-ნი ევგენი თავისის სახელმძღვანელოს შესავალში მოიხმობს პროფ. გ. ყორანაშვილის ცნობილ წიგნს - „პროფესია - ისტორიკოსი", სადაც განმარტებულია ისტორიკოსის, ისტორიისა და ისტორიოგრაფიის დანიშნულება.

რადგან ჩვენ გვაინტერესებს ისტორიოგრაფია და ისიც როგორც სასწავლო დისციპლინა, მოვიშველიებთ წიგნის ავტორის სიტყვებს:"სიტყვა ისტორია მრავალი ენის ლექსიკაში არის დამკვიდრებული. იგი წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან „ისტორიენ", რაც ნიშნავს გამოკვლევას, გაგების მცდელობას, შეკითხვას. დროთა განმავლობაში ტერმინმა „ისტორიამ" ბევრი მნიშვნელობა შეიძინა. აქედან ყველაზე მთავარია „ისტორია", როგორც საზოგადოების წარსულის აღმნიშვნელი და როგორც ამ მოვლენის, პროცესის შემსწავლელი მეცნიერება. საკმაოდ ხშირად ისტორიის მეცნიერებას აღნიშნავენ ხოლმე ტერმინით „ისტორიოგრაფია". ამასთანავე არსებობს ისტორიოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, რომელიც შეისწავლის ისტორიული აზროვნების ისტორიას, რაობას და ა.შ. და რომელიც იწოდება ისტორიოგრაფიად".

სახელმძრვანელოს ავტორი ნაშრომის პირველ თავში მიმოიხილავს ისტორიოგრაფიის შესავალს, მის რაობას და ასკვნის, რომ ისტორიოგრაფია როგორც დისციპლინა მიეკუთვნება ისტორიულ მეცნიერებას და მას აქვს თავისი სპეციფიკა, გააჩნია კვლევის განსაკუთრებული ხერხები, ფლობს წყაროთა საკუთარ ბაზას.

რაც შეეხება ისტორიოგრაფიულ მეცნიერებას, იგი ორ პოსტულატს ემყარება: ისტორიულ ფაქტს და მის ინტერპრეტაციას. ეს არის ისტორიული ცოდნის, ისტორიული მეცნიერების ორი ძირითადი ელემენტი, რომლებიც განსაზღვრავენ მის ხასიათსა და ბუნებას. ისტორია სწორედ იმიტომ იქცა ნამდვილ მეცნიერებად, როცა ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის, საერთო კანონზომიერების აღმოჩენა მოხერხდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგადმა კანონზომიერებებმა შთანთქეს კონკრეტული ფაქტები, დაუკარგეს მათ მნიშვნელობა. ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველთვის კონკრეტულია, კონკრეტულ მოვლენათა რიგს იკვლევს ზოგად კანონზომიერებათა კონკრეტულ გამოვლინებებს ასახავს.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ბ-ნ ევგენის დასკვნის ერთ ნაწილს. კონკრეტულად - ისტორიული ცოდნის გადაქცევა ისტორიულ მეცნიერებად ხელის ერთი დაკვრით არ მომხდარა. ეს იყო საკმაოდ ხანგძლივი და მტკივნეული პროცესი მრავალი ძიების , მრავალი ექსპერიმენტული მიგნების და შეცდომის, პოზიტიური შედეგების ხანა. სათავე კი ამ პროცესს მისცა ფაქტებისადმი, პირველწყაროთა მონაცემებისადმი კრიტიკულმა მიდგომამ. „კრიტიციზმი იყო ის ბებია ქალი, რომელმაც ხელი შეუწყო ისტორიოგრაფიული მეცნიერების დაბადებას".

დავამატებდი იმას, რომ ბ-ნი ევგენის მოხსენიებული სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სპეციალისტ ისტორიკოსებს, ასევე სტუდენტებსა და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ვლადიმერ წვერავა
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?"

(მხატვრული ნარკვევი იბეჭდება შემოკლებით)

სურათზე: ნუგეშა გაგნიძე

ეს იყო სამ-ნახევარი ათეული წლის წინ. ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერაში) ხუთიანი დაიწერაო, — გაიგო მთელმა ქუთაისმა. არც ამ დღემდე წლების განმავლობაში და არც შემდეგ, ისე გაიარა ათმა წელმა, მსგავსი შეფასება არავის მიუღია. მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი დავით ბრეგაძე ყველას აჩვენებდა ნაწერს, აი, როგორი უნდა იყოს აბიტურიენტის ნაშრომიო. ეს უმაღლესი შეფასება მაშინ მე-8 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა **ნუგეშა გაგნიძემ** დაიმსახურა და ამით გაამართლა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ სოლომონ ხუციშვილის ნათქვამი: ოლიმპიადაში მონაწილე 630 მოსწავლიდან შევარჩიეთ რვა რჩეული, რომელთა შორის ნუგეშა გაგნიძე პირველიაო. ქუთაისს ნუგეშას სახით ეზრდება საამაყო შვილიო (ამ დროს ნუგეშა უკვე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე სამი წლის განმავლობაში ზედიზედ წარმატებით მონაწილეობისათვის სამი პირველი ხარისხის სიგელის მფლობელი იყო). ბ-ნმა პროფესორმა ს. ხუციშვილმა პატარა ნუგეშასთან, როგორც საუკეთესო მონაცემების მქონე მოსწავლესთან, გადაიღო სამახსოვრო სურათი, რომელიც გაზეთ „ნორჩი ლენინელში" (#17) დაიბეჭდა 1983 წლის 29 აპრილს. სკოლის მოსწავლე ნუგეშას წარმატებებს აღნიშნავდა მაშინდელი პრესა. აქ აღარ ჩამოვთვლით იმ სტატიებს, რომლებიც რესპუბლიკურ გაზეთებში იწერებოდა ჩვენი პერსონაჟის შესახებ, ვიტყვით მხოლოდ, რომ მან წარჩინებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ისტორიისა და გერმანული ენის სპეციალობაზე და წარჩინებითვე დაასრულა. იყო ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის სტიპენდიატი.

ჩემ თვალწინ გაიარა მისმა არა მარტო სტუდენტობამ, არამედ — დღემდე ცხოვრებამაც. მისი ბევრი სიხარულის თვითმხილველი და მონაწილეც კი ვარ.

1994 წლიდან ქ-ნი ნუგეშა გაგნიძე საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ლაბორანტი და 1996-1999 წლებში ასპირანტიცაა. დაძაბულმა და დაუღლელმა შრომამ, ძიებამ, საქმის სიყვარულმა და პასუხისმგებლობამ სულ მალე მისცა შესაძლებლობა, რომ მიეღწია დასახული მიზნისათვის. 2001 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სენტიმენტალიზმი და ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი" **(მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი ნანული კაკაურიძე)**. 2004 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება სპეციალობით: „ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა". 2006 წლიდან ქ-ნი ნუგეშა საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ჯერ ასოცირებული პროფესორი, 2010 წლიდან კი პროფესორია და ასწავლის დასავლეთევროპული და გერმანული ლიტერატურის ისტორიას. მისი კვლევის სფეროებია გერმანული განმანათლებლობა, ნიცშესა და მე-20 საუკუნის გერმანელი ავტორების შემოქმედება. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და 70-ზე მეტი სტატია ლესინგის, გოეთეს, შილერის, ნიცშეს, კაფკას, ბრეჰტის, შტეფან გეორგეს, გეორგ ჰაიმის, გეორგ თრაკლის, გოტფრიდ ბენის, ინგებორგ ბახმანის, კრისტა ვოლფის, ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთის, სულხან-საბა ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძისა და გივი მარგველაშვილის შემოქმედების პრობლემურ საკითხებზე, გერმანულ და ქართულ საგმირო ეპოსსა და გერმანულ-ქართულ ისტორიულ-კულტურულ და ლიტერატურულ ურთიერთობებზე. ასრულებს თარგმნით სამუშაოებს გერმანული ლიტერატურიდან, წერს ესეებს, ლექსებს და შემდეგ ამ ყველაფერს ბეჭდავს კიდევაც. მისი წიგნი „შეიცან თავი შენი" გამომცემლობა „პოლიგრაფმა" გამოსცა ქ. ქუთაისში 2014 წელს. ყველა ამ მიღწევასთან ერთად ქ-ნი ნუგეშა წლების მანძილზე (2006-2015), სხვადასხვა დროს, არჩეული იყო ჩვენივე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად. მას არაერთი სამეცნიერო ნაშრომის მაღალ დონეზე შესრულებისათვის ბევრჯერ აქვს მიღებული სტიპენდია და გრანტი. მათ შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა და გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების სტიპენდიები, პროფესიული პრაქტიკისათვის კი — სოროპტიმისტ ინტერნაციონალის დიუსელდორფის კლუბების გრანტები. უკვე ორი ათეული წელია ქ-ნი ნუგეშა წარმატებით გამოდის სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე — ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მოწონება დაიმსახურა მისმა წარდგენილმა სამეცნიერო ნაშრომებმა რუმინეთში, იტალიაში, სომხეთში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. ჩვენი ნარკვევის გმირი სისტემატურად იმაღლებს მეცნიერული ცოდნის დონეს სემინარებსა და ტრენინგებში მარტო საქართველოში კი არა, — გერმანიის ქალაქ დიუსელდორფსა და ჰაიდელბერგშიაც.

პატივცემულო მკითხველო, აქ ჩამოთვლილი ყველა საკითხი ერთი პროფესორის ბიოგრაფიული მონაცემებია. ასეთი ან ამისი მსგავსი მაინც უნდა ჰქონდეს და დარწმუნებული ვარ, რომ ექნება ერთ საშტატო ერთეულზე მყოფ ყველა პროფესორს, **მაგრამ ქ-ნი ნუგეშა ამას არ სჯერდება, კიდევ მეტსა და მეტს საქმიანობს, თავისივე სურვილით ასრულებს უამრავ საქმეს და ჩვენც საზოგადოებრიობის ყურადღებას სწორედ ამ მეტს მივაპყრობთ.** მისი ინიციატივით, პროგრამით, შრომითა და ხელმძღვანელობით ქართველ და გერმანელ მოსწავლეთა მაღალი დონის განათლების მისაღებად უკვე მეთერთმეტე წელია ნაყოფიერად ფუნქციონირებს გაცვლითი პროგრამა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის პირველ საჯარო სკოლასა და გერმანიის ქ. ჰაიდელბერგის ერთ—ერთ გიმნაზიას შორის. გერმანული მხრიდან ამ საქმის სულისჩამდგმელი არის ამავე გიმნაზიის დირექტორი დოქტორი ჰაინც მარტინ დიოპი, რომელიც ამ პროგრამით უკვე სამჯერ იყო საქართველოში. ორი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებების ამ პარტნიორობის შესახებ იცის იმ ვიწრო წრემ, რომელიც თავისი სპეციალობით ახლოსაა ამ საკითხთან, ამ საქმეში ჩახედული და გარკვეულია, მაგრამ **ეს უნდა იცოდნენ ქუთაისელებმა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, თანამშრომლებმა და სტუდენტებმაც კი. ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს, ვინ შრომობს მათ გვერდით და, გარდა პროფესორის ერთ შტატზე არსებული მოსაქმეობისა, რას აკეთებს საზოგადოებრივ საწყისებზე მხოლოდ საქმის სიყვარულით, ჩვენი მომავალი თაობისა და ჩვენი ერის სასარგებლოდ, ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის, ამასთანავე რაზე ფიქრობს ყოველ წუთს და ვინაა ის, ვინც ასრულებს დიდი ილიას დანაბარებს: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?"**

გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მიზანია კარგად გაარკვიოს და წინა პლანზე წამოსწიოს ქ-ნი ნუგეშას სულიერების მთავარი არსი, დაგვანახოს ის სხვა საქმიანობით, წარმოაჩინოს როგორც ჰუმანური თვისებების მქონე, ქველი, მოწყალე პიროვნება და ამ კუთხით გაწეული მისი საქმეები მკითხველებამდე მიიტანოს, მით უფრო დღეს, როცა ბოლო ოფიციალური მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ერთი მესამედი აყვანილია დახმარების აღრიცხვაზე. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილებს თვალი კეთილ ადამიანებზე უჭირავთ, ელიან მათს სითბოს, ზრუნვას, იქნებ აქ, თავიანთ სამშობლოშივე, გადარჩნენ, შეინარჩუნონ სული და, ბევრი სხვა ქართველის მსგავსად, არ მოუწიოთ საკუთარი ქვეყნის დატოვება და საზღვარგარეთის ამა თუ იმ ქვეყანაში თავშესაფრის საძებნად წასვლა. **ყველაფერს აქ, ამ ნარკვევშივე, გაიგებთ, თუმცა ჩვენი ეს „ნაღვაწი" სრულყოფილი არ არის, შემოკლებითაა დაბეჭდილი.**

მოკლედ მოგახსენებთ ქ-ნი ნუგეშას მიერ შესრულებული სხვადასხვა საქმის შესახებ, უპირველეს ყოვლისა კი — გაცვლითი პროგრამით გაწეულ საქმიანობაზე: 2007 წლიდან წელიწადში ერთხელ ჰაიდელბერგის გიმნაზიიდან 10-12 დღით 10-16 მოსწავლე ჩამოდის საქართველოში, კერძოდ, ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში. მოსწავლეები ეცნობიან განათლების ქართულ სისტემას, ესწრებიან გაკვეთილებს, სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებს, სპექტაკლებს, ათვალიერებენ ჩვენი ქალაქისა და ამავდროულად, ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს, იმაღლებენ ცოდნას საქართველოს ისტორიაში, რადგან ისინი 2008 წლიდან ჰაიდელბერგის გიმნაზიის მე-11 კლასში მთელი წლით სწავლობენ საგანს „საქართველო". მოსწავლეთა ეს მოგზაურობაც ამ საგნის სიღრმისეულად შესწავლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გერმანელი მოსწავლეების სასწავლო კურსში ამ საგნის ჩასმის ინიციატორი ქ-ნი ნუგეშა იყო. ეს არის ამ საგნის შესწავლის პირველი და ერთადერთი შემთხვევა ამ გიმნაზიისა და გერმანიაში არსებული სხვა გიმნაზიების ისტორიაშიც. გერმანიაში ყოფნის დროს ქ-ნი ნუგეშა ამ საგანში თვითონვე უტარებს გაკვეთილებსა და სემინარებს ჰაიდელბერგელ მოსწავლეებს, რომლებიც ინტერესდებიან რა ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიული წარსულით, ჩვენი უძველესი დამწერლობით, ჩვენივე ძეგლებით, ფლორითა და ფაუნით, სპორტით და საერთოდ ჩვენი კულტურით, ადგენენ ანკეტებს საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის, რელიგიის, ლიტერატურის, ფოლკლორისა და სხვა საკითხების შესახებ და ჩვენს სამშობლოში ყოფნის დროს პასუხს სცემენ კითხვებს, რომ შედეგები გამოიყენონ იმ თემების შესრულებისათვის, რომლებიც სასწავლო წლის ბოლოს, საგნის ჩაბარების პროცესში, საჯაროდ უნდა დაიცვან. საგან „საქართველოს" შემსწავლელ მოსწავლეთა რაოდენობის მატება ცხადყოფს საგნის პოპულარობასა და ავტორიტეტს და გერმანელ მოსწავლეთა ინტერესის გაზრდას ჩვენი საქართველოსადმი. ამიტომაც წელს გერმანიიდან პირველ საჯარო სკოლაში 19 მოსწავლესა და ორ მასწავლებელს ელოდებიან.

პროექტის ამოქმედებიდან დღემდე ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში 150-მდე მოსწავლე ჩამოვიდა. აღნიშნულ პერიოდში ამდენივე მოსწავლე ესტუმრა ჰაიდელბერგის გიმნაზიას, სადაც ისინი მონაწილეობდნენ მრავალ კულტურულ ღონისძიებაში. ამასთანავე დაათვალიერეს გერმანიის ქალაქები და ერთი ჯგუფი საფრანგეთის უმშვენიერეს ქალაქ ვისომბურს, 100-მდე მოსწავლე კი სტრასბურგს ეწვია.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის საორგანიზაციო და ყოფითი საკითხები, რომელთა მოუგვარებლად ეს პროგრამა ვერ განხორციელდებოდა. ქართველ მოსწავლეებს ბინით, კვებითა და მოგზაურობის ხარჯებით გერმანელი მასპინძელი ოჯახები უზრუნველყოფენ ისევე, როგორც გერმანელი მოსწავლეებისათვის მასპინძლობას ქართველები იჩენენ. ქუთაისის პირველ საჯარო სკოლასა და ჰაიდელბერგის გიმნაზიას შორის დადებულ გაცვლით პროგრამას მხარს უჭერს გერმანიის პედაგოგიური გაცვლის სამსახური და ქუთაისის პირველი საჯარო სკოლა. ყოველ წელს საქართველო-გერმანიის პარტნიორი პროგრამების შესრულების საკითხებს ფართოდ ეხმაურება გერმანული პრესა. არაერთხელ დაიბეჭდა საინტერესო სტატიები ამ კუთხით გაზეთ „რაინ ნეკარ ცაიტუნგში".

აღსანიშნავია, რომ ქ-ნი ნუგეშა არ არის ამ პროგრამის მხოლოდ თეორიულად შემქმნელი. ის ამ პროგრამის განხორციელების აქტიური შემოქმედია არა მარტო ქუთაისში, არამედ — გერმანიაშიც, სადაც მას ჩაჰყავს ჩვენი თანაქალაქელი ბავშვები ყოველწლიურად და თან ახლავს მოსწავლეებს ყოველგვარ ღონისძიებაზე, რომ არაფერი ვთქვათ მათი დოკუმენტების მოწესრიგებაზე, წაყვანწამოყვანისა და დაბინავების ორგანიზე-

გაგრძელება მე-5 გვ.

„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?"

დასაწყისი მე-4 გვ.

ბაზე სამშობლოში თავ-თავიანთ მშობლებთან ჩაბარებამდე.

გაცვლითი პროგრამა საჭირო და აუცილებელია როგორც ქართველი, ისე გერმანელი მოსწავლეებისათვის, რადგან ის ორი ქვეყნის ახალგაზრდების ჰუმანურ ღირებულებებზე აღზრდას, განათლებისა და სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე განვითარებას, საქართველოს ისტორიისა და კულტურის პროპაგანდასა და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანას და, რაც მთავარია, ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება.

ასეთი საქმიანობისათვის დიდი მადლობა ქ-ნ ნუგეშას — მართლაცდა ადამიანების ნუგეშს, მშვიდს, თბილს, ინტერესიანს, ენერგიულს, საქმიანს, დაუღლელს, თავმდაბალს, კომუნიკაბელურს, მეგობრულს...

ქ-ნი ნუგეშას საზოგადოებრივი საქმიანობა მარტო ამ ერთი გაცვლითი პროგრამით არ შემოიფარგლება. მისი ბიოგრაფია სავსეა იმ ჩამონათვალით, რომელთა შესრულებაც მას წლების მანძილზე უწევდა და უწევს. ის არის გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წევრი ქუთაისსა და ვაიმარში, დიუსელდორფში კი — თომას მანის საზოგადოების წევრი. ასევე, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა და გიოტინგენის უნივერსიტეტის ალუმნა. დღე არ გავა, კეთილ საქმეზე არ იფიქროს, ცდილობს, თავისი ყოველდღიური შრომით ადამიანებს ცხოვრება არა მარტო შეუმსუბუქოს, არამედ გაულამაზოს და სითბო აგრძნობინოს. ამ მიზნით, 2010 წლიდან ის, ბუნებით კაცთმოყვარე, არაერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი და ძირითადი ბირთვია. იყო და არის ქალთა კლუბ „ასოციაცია ქალები რეგიონის განვითარებისათვის" წევრი და ამავე კლუბის თავმჯდომარე 2015-16 წლებში. 2006-11 წლებში ქ-ნი ნუგეშა საქართველოს სოროპტიმისტ ქალთა ქუთაისის კლუბის წევრი (ამ საქმეს ის თავის მეგობარ **ნატო იმედაშვილს** უმადლის) იყო, შემდეგ — საერთაშორისო სოროპტიმისტ ქალთა კლუბ „ქუთაის-კოლხას" დამფუძნებელი პრეზიდენტი.

ადვილი არ იყო სოროპტიმისტ („საუკეთესო დები") ქალთა კლუბ „ქუთაის- კოლხას" ჯერ დაარსება და შემდეგ ამოქმედება ჩვენს ქალაქში. არადა კლუბის მართლაც სასიცოცხლო და მნიშვნელოვანი მიზნები — ქალთა და გოგონათა ჰუმანიტარული, სოციალური, სამედიცინო, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება ნამდვილად წაადგებოდა ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს. ამიტომაც კლუბის ინაუგურაციას, რომელიც 2013 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 15 სტუმარი ესწრებოდა გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან და ისრაელიდან. ამ სტუმრებიდან ავტორიტეტის მოპოვების საქმეში ყველაზე დიდი დახმარება კლუბ „ქუთაის-კოლხას" შემდეგ მისი ნათლია კლუბის წევრებმა, ჰაიდელბერგელმა სოროპტიმისტებმა გაუწიეს. კერძოდ, ჰაიდელბერგელმა პროფესორებმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტებისათვის ორი ათასამდე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა შეაგროვეს გერმანისტიკაში, ანგლისტიკასა და რომანისტიკაში. ეს წიგნები დღეს ქ-ნი ნუგეშას მიზანდასახული საქმიანობის შედეგად, **ქ-ნი ნატო იმედაშვილისა და მისი მეუღლის, ბ-ნი ირაკლი მელქაძის კეთილი ნებითა და აქტიური დახმარებით,** უკვე ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშია მოთავსებული და აყვანილია აღრიცხვაზე. მათ საჭიროების მიხედვით იყენებენ ჩვენი თანამშრომლებიცა და სტუდენტებიც.

გერმანელ პარტნიორებთან თანდათან გაღრმავდა სამეცნიერო კონტაქტები. შეიქმნა ქ-ნ ნუგეშა გაგნიძისა და მარგარეტ შუხარდის ერთობლივი წიგნი გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომლის პრეზენტაცია გერმანიაშივე გაიმართა. უკვე მეხუთე წელია „ქუთაის-კოლხა" ახორციელებს ორ სოციალურ პროექტს „ბავშვთა სოფელსა" და ხანდაზმულთა პანსიონატში. კლუბის წევრმა „დებმა" ბევრი გააკეთეს პატარა აღსაზრდელებისა და მოხუცი ქალბატონებისათვის. მარტო ის რად ღირს, რომ პანსიონატში მცხოვრებ ხანდაზმულ ქალბატონებს შეუძინეს საოჯახო ტექნიკა, რითაც გაუმჯობესეს მათი სოციალური პირობები. ასეთ საქმიანობას ისინი აგრძელებენ ქალაქში უკიდურესად მძიმე პირობებში მცხოვრები ხუთი ქალბატონისათვის. კლუბის წევრებმა მოკრძალებული სიტყვა თქვეს 2015 წლის ივნისში, როცა ისინი წყალდიდობის შედეგად დაზარალებულებს დაეხმარნენ ქ. თბილისში. კლუბის წევრი ექიმი ქალბატონები ხშირად ატარებენ უფასო სამედიცინო კვლევებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მრავალშვილიანი დედებისათვის. აქ უნდა გამოვყოთ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრის, ქ-ნი **ლელა ქელბაქიანისა** და კლუბის წევრი ქალბატონების: **ნატო იმედაშვილის, თამთა თურმანიძის, ნინო ტურაბელიძის, ინეზა წერეთლის, იზოლდა გაბადაძის, ირინა შიშინაშვილის, მაკა ხეცურიანის, სოფიკო გამყრელიძის, ქეთევან ხაბეიშვილის, ტასო კოდუას, მანანა ჩიხლაძის, ბაია მჟავანაძისა და სხვების** შრომა, საქმის სიყვარული, ჰუმანურობა და პასუხისმგებლობა. დიდია მათი წვლილი „ქუთაის –კოლხას" ავტორიტეტის მოპოვების საქმეში. ისინი ქ-ნი ნუგეშას გამამხნევებლები, ნუგეშები და იმედები არიან, ქ-ნ ნუგეშასთან ერთად ინაწილებენ და ასრულებენ ყოველგვარ საქმეს. სოროპტიმისტ ქალბატონებს ამჟამად არავინ აფინანსებთ. ისინი თვითონ იკლებენ და თავიანთი ხელფასიდან შეგროვილი ლარებით ეხმარებიან მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ — მრავალშვილიან დედებს ან დაუძლურებულ მოხუცებს. ასეთი არა ერთი და ორი შემთხვევაა. „დების" გვერდით დგომით არის გაძლიერებული ქ-ნი ნუგეშა და ამიტომაც კლუბის წევრების დაუძლეველი არც არაფერია. კლუბის წევრმა რამდენიმე ქალბატონმა თავიანთი უგემრიელესი რეცეპტებით ერთობლივად შეადგინა წიგნი „სოროპტიმისტული შეხვედრების სამზარეულო". ამ წიგნში წარმოდგენილი ტკბილეულის დამზადების წესებით დაინტერესდნენ რა ქართველი ახალგაზრდა დიასახლისები, წიგნი სწრაფად იქნა რეალიზებული. შეგროვილი თანხა კი „ქუთაის-კოლხას" მიერ განსახორციელებელ პროექტებს მოხმარდა. ჰოლანდიელი სოროპტიმისტების მხარდაჭერით სამ ქართველ ახალგაზრდას 2-2 წლით დაუფინანსდა სწავლა. კლუბის მეშვეობით რამდენიმე ქართველმა ქალბატონმა შეისწავლა ინგლისური ენა. ძნელია ყველა იმ ღონისძიების ჩამოთვლაც კი, რაც ქ-ნი ნუგეშას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესრულდა ამ კლუბში. ამიტომაც უკვე 30-ზე მეტია კლუბის წევრი „მოყვარული დების" რაოდენობა. ამ კლუბის წევრები არიან ასევე ქუთაისში არსებული ქალთა კლუბ „ქალები რეგიონის განვითარებისათვის" რამდენიმე წევრი და მათი პრეზიდენტი **მაკა ხეცურიანი.** ისინი ერთობლივ ღონისძიებებსაც კი აწყობენ. ამჟამად კლუბ „ქუთაის-კოლხას" წევრი ქალბატონები აქტიურად უჭერენ მხარს საყოველთაოდ გამოცხადებულ მიმართვას „არა ძალადობას" და ისინი ამ საკითხებზე არა მარტო ქუთაისში მუშაობენ, არამედ — იმერეთშიაც. მოკლედ რომ ვთქვათ, **ქუთაისელი „მოყვარული დები" თავიანთ მოკრძალებულ სიტყვას ამბობენ იქ, სადაც ეს ქალაქსა და ქვეყანას ესაჭიროება და მსოფლიოს წარმატებულ ქალბატონებთან ერთად ზრუნავენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების, ქალთა და მოზარდ გოგონათა უფლებების დაცვისა და მათი უკეთესი მომავლისათვის. ყველაფერს ამას კი ხელმძღვანელობს და აქტიურადაა ჩართული ამ საქმეების შესრულებაში სამი უმშვენიერესი შვილიშვილის: ელენეს, ნიკოლოზისა და ფარნავაზის ბებია, ჩვენივე უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ქ-ნი ნუგეშა გაგნიძე, რომელიც თავისი ასეთი საქმიანობით ამშვენებს არა მარტო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, არამედ — ქალაქ ქუთაისსაც. იგი მეგობარ თანაკლუბელებთან, სტუდენტებსა და მოსწავლეებთან ერთად ღირსეულად წარმოაჩენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენს სამშობლოს. მივულოცოთ მას მარტის ულამაზესი დღესასწაულები, თავისივე დაბადების დღე და ვუსურვოთ წინსვლა და წარმატებები ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

იზოლდა რუსაძე

ნუგეშა გაგნიძის წიგნები

კულტურულ-ლიტერატურული ოდისეა 1920-იან წლებში: ბაია კოღუაშვილის წიგნი „1920-იანი წლების ამერიკული ლიტერატურა: ჯაზის ეპოქის გამოძახილი"

1920-იანი წლები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია ამერიკის ისტორიასა და კულტურაში. ესაა უაღრესად წინააღმდეგობრივი და მჩქეფარე ათწლეული, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი იმედგაცრუების, ილუზიების მსხვრევის, „მშრალი კანონისა" და ბუტლეგერების, 1929 წლის დიდი დეპრესიის, მაგრამ იმავდროულად ეკონომიკური ბუმის, ჯაზის, მაღალი მოდერნიზმის, სისხლსავსე კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების წლები. ამ ათწლეულს აქვს საკუთარი გამოკვეთილი სახე, სპეციფიკა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება როგორც წინა ათწლეულისაგან, ასევე მომდევნო - 1930-იანი - წლებისგანაც. ამდენად, სრულიად გამართლებული და კანონზომიერია 1920-იანი წლების ცალკე, როგორც მთელი დამოუკიდებელი ეტაპის, ცალკე გამოყოფა.

„ჯაზის ეპოქა", „მშფოთვარე/ხმაურიანი ოციანები", „ბრწყინვალე აბსურდის ხანა" - ეს ზღვაში წვეთია იმ განსაზღვრებებს შორის, რომლებსაც მიმართავენ ამ ეპოქის სულისკვეთების გადმოსაცემად, თუმცა თითოეული მათგანი საკმაოდ მარტივი კრიტიკული კონსტრუქციაა და მხოლოდ ნაწილობრივ თუ ასახავს 1920-იანი წლების ინტელექტუალური დიასპორის მრავალფეროვან მისწრაფებებსა და ინტერესებს. ესაა, გერტრუდ სტაინის ფორმულირება რომ მოვიშველიოთ, ე. წ. „დაკარგული თაობისა" და ექსპატრიატთა ხანა, როცა გამორჩეულ ამერიკელ ინტელექტუალთა და შემოქმედთა მთელმა თაობამ - გერტრუდ სტაინმა, ერნესტ ჰემინგუეიმ, ჯონ დოს პასოსმა, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდმა, ტომას სტერნზ ელიოტმა, ეზრა ლუმის პაუნდმა და სხვებმა - ევროპა აირჩია სამოღვაწეო ასპარეზად ისე, რომ ზოგიერთი მათგანი, ხანმოკლე ვიზიტებს, ანდა პაუნდის ფსიქიატრულ საავადმყოფოში წლების მანძილზე იძულებით გამოკეტვას თუ არ ჩავთვლით, აღარც დაბრუნებულა სამშობლოში; ესაა წლები, როცა მძაფრად შეიგრძნობა ტრადიციული პოეტური სენტიმენტების ყავლგასულობა და კლასიკური ტექსტების ჰეგემონიას სრულიად ახალი ესთეტიკა უპირისპირდება ამერიკული მოდერნიზმის ევროპული სკოლის სახით; განცალკევებით დგას უილიამ ფოლკნერი, რომლის პროზაც მწერლის მიერ გამოგონილი იოკნაპატოფას მითიური საგრაფოს საშუალებით ამერიკის სამხრეთის წარსულსა და აწმყოზე მოგვითხრობს, თუმცა, ფაქტობრივად, ეს უაღრესად პირობითი მხატვრული სივრცეა, ის მითოპოეტიკური ქრონოტოპია, რომელიც ყველა დროსა და ყველა ადგილს მოიცავს ერთდროულად.

ბაია კოღუაშვილის წიგნის „1920-იანი წლების ამერიკული ლიტერატურა: ჯაზის ეპოქის გამოძახილი" მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში მრავალმხრივაა ასახული 1920-იანი წლების ამერიკის კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების მთელი ეს მრავალფეროვნება, სისავსე და ამავე დროს წინააღმდეგობრივი ხასიათი - ლიტერატურული პროცესები წიგნში აღწერილია სოციალურ-პოლიტიკური და ზოგადკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით; სადაც საჭიროა, ავტორი ინტერდისციპლინარულ მიდგომასაც მიმართავს - ნაჩვენებია ჯაზის ენერგიული და ინტენსიური შეჭრა ამერიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებული ყურადღება კი, ბუნებრივია, ჯაზისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებას ეთმობა. ერთი სიტყვით, წიგნი მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის არა მარტო ამ ათწლეულის ამერიკული ლიტერატურის ძირითად ტენდენციებზე, არამედ ზოგადკულტურულ და ინტელექტუალურ ატმოსფეროზეც.

წიგნში ზოგადადაა დახასიათებული ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ესთეტიკური ტენდენციები, ნაჩვენებია ამერიკული მოდერნიზმის დაბადების პროცესი და გადმოცემულია „ექსპატრიატთა" ლიტერატურული ოდისეა ევროპაში, ე. წ. „დაკარგული თაობის" თავგადასავალი. მთლიანობაში, წიგნის სტრუქტურა ეფუძნება ჟანრულ პრინციპს - ცალკეულ თავებში განხილულია 1920-იანი წლების ამერიკული პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის მხატვრული თავისებურებანი.

წიგნი დაწერილია მშვენიერი ქართულით, იკითხება გატაცებით, კითხვისას შეიგრძნობა ეპოქის სულისკვეთება და ხასიათი; ავტორი მკითხველს აწვდის მდიდარ ინფორმაციას ათწლეულის კულტურული და ლიტერატურული ტენდენციების შესახებ.

წიგნი საინტერესო იქნება არამარტო სპეციალისტებისა და ამერიკული ლიტერატურის შემსწავლელი სტუდენტებისათვის, არამედ ამერიკული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

. . .

2017 წლის 22 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა ამ წიგნის წარდგინება, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ასევე მოწვეული სტუმრები.

წარდგინებას უძღვებოდა წიგნის რედაქტორი, აწსუ პროფესორი ირაკლი ცხვედიანი, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას ზოგადად გააცნო წიგნის შინაარსი და მოკლედ ისაუბრა მისი მნიშვნელობის შესახებ.

წიგნის ავტორმა, აწსუ ასოცირებულმა პროფესორმა ბაია კოღუაშვილმა ვრცლად ისაუბრა წიგნის მიზნების, კონცეფციის, მეთოდიკის, აგებულების, შინაარსის, თეორიული და პრაქტიკული ღირებულების შესახებ.

წიგნის შესახებ ასევე ვრცლად ისაუბრეს მისმა რეცენზენტებმა — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თემურ კობახიძემ და აწსუ ასოცირებულმა პროფესორმა ელისო ფანცხავამ.

თემურ კობახიძის გამოსვლა, ფაქტობრივად, გადაიზარდა უაღრესად საინტერესო და ცოცხალ ლექციაში 1920-იანი წლების ევრო-ამერიკული კულტურულ-ლიტერატურული ატმოსფეროსა და მაღალი მოდერნიზმის შესახებ; „ლექცია" კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა საილუსტრაციო ვიზუალურმა მასალამ, რომელიც მთელი ეპოქის სულისკვეთებას გადმოსცემდა.

ორივე რეცენზენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წიგნი ინტერდისციპლინარულია, ვინაიდან იგი მხოლოდ 1920-იანი წლების ამერიკულ ლიტერატურას კი არ განიხილავს, არამედ ამერიკის იმდროინდელი კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს — მუსიკას, ფერწერას, არქიტექტურას, კინემატოგრაფს, თეატრს — შეეხება.

წიგნს მაღალი შეფასება მისცა კიდევ ერთმა სტუმარმა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელმა, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ვასილ კაჭარავამ, რომელიც თავადაც არაჩვეულებრივი წიგნის ავტორია 1920—იანი წლების ამერიკის შესახებ (იხ. ვ. კაჭარავა, 1920—იანი წლების ამერიკა. თბილისი: „საქართველოს მაცნე", 2008).

წიგნის შესახებ საინტერესოდ ისაუბრა აწსუ პროფესორმა ნანული კაკაურიძემ, რომელმაც წარმატებები უსურვა წიგნის ავტორსა და თავად წიგნსაც.

წიგნის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს პროფ. მ. ქაცარავამ, პროფ. ნ. ჩიხლაძემ და ასოც. პროფ. ლ ნოზაძემ.

წარდგინების ბოლოს გაიმართა ცოცხალი დისკუსია წიგნის ირგვლივ.

შეიძლება ითქვას, რომ ბაია კოღუაშვილის წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ამერიკისმცოდნეობისათვის, ქართველ მკითხველს კი საინტერესო მოგზაურობა ელის 1920—იანი წლების ამერიკული ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების უაღრესად მრავალფეროვანსა და მომხიბვლელ სამყაროში.

ირაკლი ცხვედიანი

ინტერვიუ იუბილართან

გილოცავთ,

თქვენი განვლილი ცხოვრების წლები და პროფესიული საქმიანობის დიდი ნაწილი უკავშირდება ჩვენს უნივერსიტეტს. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

ყველაფერი დაიწყო 90-იანი წლებიდან, ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში და მათ შორის ქუთაისში უმაღლესი განათლების სამედიცინო დაწესებულებები, ინსტიტუტად და უნივერისტეტად „მონათლულები" კიბის უჯრედებში" რომ იყო გახსნილი და რამდენადაც დაუჯერებლად არ უნდა მოგეჩვენოთ, იმ დროისათვის ასეთი სამედიცინო ინსტიტუტები ათეულობით ფუნქციონირებდა. სახელმწიფო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი მხოლოდ თბილისში იყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტის სახით.

ვინაიდან ქუთაისს გაარნდა აკადემიური ხარისხის მქონე ექიმების საკმაოდ დიდი პოტენციალი, მძლავრი სამედიცინო დაწესებულებები, მარალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, არაფერს ვამბობ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, სადაც წლების განმავლობაში ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ ცნობილი ფიზიოლოგი, ქართული ფიზიოლოგიის მამამთავარი ივანე ბერიტაშვილი მუშაობდა და ფუნდამენტური სამედიცინო დისციპლინების: ადამიანის ანატომიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, მიკრობიოლოგიის და სხვა დისციპლინებში პედაგოგთა მაღალკვალიფიციური წარმომადგენლობა, ნიშანდობლივი იყო გვეფიქრა უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის გახსნაზე. 1994 წელს ბიოსამედიცინო ფაკულტეტზე უკვე ოცამდე ფარმაცევტული სპეციალობის პირველკურსელი სწავლობდა. ამ იდეას ძალიან დიდი მხარდაჭერით შეხვდა უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორი პროფესორი მაგალი თოდუა. თითქმის ერთი წელი მოვანდომეთ სამთავრობო დონეზე საორგანიზაციო საკითხების დალაგებას და 1995 წელს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი, ფარმაციის, სტომატოლოგიისა და პედიატრიის სპეციალობებით, მოგვიანებით, 1997 წელს, სამკურნალო საქმის სპეციალობა დაემატა. ფაკულტეტის დეკანობა, მე დამევალა.

გქონდათ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს მანამდე შეხება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან?

- მინდა გითხრათ, რომ მე და ჩემი ოჯახის წევრებს უნივერსიტეტთან მიმართებაში შემთხვევითი აუცილებლობით პირველობა დაგვებედა, კერძოდ მამაჩემი ალექსანდრე ლობჟანიძე იყო პირველი გამოშვება მაშინდელი ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა, რომელმაც 1937 წელს დაამთავრა გეოგრაფიის ფაკულტეტი. 1990 წელს, როდესაც პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერისტეტად გადაკეთდა, ჩემს ქალიშვილს თეა ლობჟანიძეს, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდა, ერგო პატივი ,პირველს შემოეკრა საუნივერსიტეტო ზარი. მე კიდევ სამედიცინო ფაკულტეტის პირველი დეკანი გახლდით. ცნობისათვის, ჩემმა დამ თამარ ლობჟანიძემ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა ფიზიკა-მატემატიკის სპეციალობით, ხოლო ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა ნინო ლობჟანიძემ წარმატებით დაამთავრა ჩვენი უნივერისტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, სამკურნალო საქმის სპეციალობით.

რისი გაკეთება შეძელით ფაკულტეტის დეკანობის პერიოდში და რა დაგრჩათ გასაკეთებელი?

ფაკულტეტის გახსნიდან ცოტა მოგვიანებით რვა სპეციალური კათედრა გავხსენით, შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში. კერძოდ, შინაგან სნეულებათა კათედრა - კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე, გამგე დოცენტი ლ. გვეტაძე; პედიატრიის კათედრა - ბავშვთა მრავალპროფილიან საავადმყოფოში, გამგე პროფ. თ. ტონია; სტომატოლოგიის კათედრა, რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრის ბაზაზე, გამგე პროფ. ალ. ბრეგაძე; ქირურგიულ სნეულებთა კათედრა - კლინიკურ სავადმყოფოში, გამგე პროფ. ო. ღიბრაძე; მეან-გინეკოლოგიის კათედრა, #2 სამშობიარო სახლში, გამგე პროფ. გ. შონია; თეორიული მედიცინის კათედრა - კლინიკურ საავადმყოფოში, გამგე დოცენტი თ. გრძელიძე; ბავშვთა ქირურგიის კათედრა - მრავალპროფიალიან ბავშვთა საავადმყოფოში, გამგე დოცენტი თ. ნადირაძე; ფარმაციის კათედრა - ქუთაისის ცენტრალურ სააფთიაქო ბაზაზე, გამგე პროფ. ბ. ჭუმბურიძე.

2000 წელს სამედიცინო ფაკულტეტი გახდა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (*EMSA*) სრულუფლებიანი წევრი, ფაკულტეტი 1997 წლიდან წარმატებით მონაწილეობდა "*Tempus tasis*"-ის და „*Intas*"-ის საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროგრამებში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სახელმწიფო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებიდან საქართველოში მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტი იყო, დიდი წარსულით, გამოცდილებით, ადამიანური რესურსებით, ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით დაგემკვიდრებინა მის გვერდით ადგილი, როგორც მომავალი ექიმებისა და პროვიზორების აღმზრდელებისა ძალიან დიდ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვდა თითოეული პედაგოგისაგან, ვისაც შეხება ჰქონდა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებთან და განსაკუთრებით იმ ექიმ პედაგოგებისაგან, რომელთაც სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილებაც კი არ ჰქონდათ. ძალიან რთული და ძნელი გზა გავიარეთ. ფაკულტეტი შედგა და კვალიფიციური სპეციალისტების დიდი თაობა აღზარდა, რომლებსაც ყველგან შეხვდებით ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, თუ მის ფარგლებს გარეთ, როგორც წარმატებულ სპეციალისტებს.

ძალიან დიდი სურვილი მქონდა ფაკულტეტს ჰქონოდა საუნივერსიტეტო კლინიკა, რომლის გარეშეც კვალიფიციური სპეციალისტის მოშზადება საკმაოდ რთულია. დიდი ძალისხმევა ჩავდევით ამ საკითხის გადაწყვეტაში და ფაქტობრივად შევძელით კიდეც. 2001 წელს ქალაქ ქუთაისის მერის ბატონ რ. მხეიძის განკარგულებით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერისტეტს უსასყიდლოდ, უზურფრუქტის ფორმით გადაეცა კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული კორპუსის მე-7, მე-8 და მე-9 სართულები, 1712 კვმ ფართით. წარმოიდგინეთ როგორი საუნივერსიტეტო კლინიკა გვექნებოდა, მაგრამ 2002 წელს უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უკან დაუბრუნა მერიას უსასყიდლოდ გადმოცემული კლინიკური საავადმყოფოს სამი სართული, იმ მოტივით, რომ მე-7, მე-8 და მე-9 სართულები საჭიროებენ კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, რომლის ფინანსური შესაძლებლობა უნივერსიტეტს არ აღმოაჩნდა.

თქვენ ამჟამად ხელმძღვანელობთ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ფარმაციის დეპარტამენტს, ხართ პროფესორი, ამავე დროს წამყვანი კლინიკის დირექტორი, მოქმედი ექიმი, როგორ ათავსებთ ყველაფერ ამას ერთმანეთთან და რა არის თქვენი სამომავლო გეგმები?

- რა თქმა უნდა, საკმაოდ რთულია, მაგრამ დროს თუ რაციონალურად გაანაწილებ და დღეს კარგად დაგეგმავ, შეუძლებელია არაფერია.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს - პირველ რიგში სტომატოლოგიაში სადოქტორო პროგრამა უნდა დავდოთ და შემდგომ უცხოენოვანი სტომატოლოგიის პროგრამაა გასაკეთებელი, რადგან ძალიან დიდი მოთხოვნაა ამ მიმართულებით მეზობელი და შორეული ქვეყნებიდან.

ესაუბრა ***თამარ გუმბერიძე***

დამხმარე სახელმძღვანელო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

გამოვიდა ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლის ქეთევან უკლებას დამხმარე სახელმძღვანელო **"ძირითად, გავრცელებულ ქრონიკულ დაავადებათა მართვა პირველად ჯანდაცვაში".** წიგნი შედგენილია უმაღლესი სასწავლებლის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მასში განხილულია ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებების: არტერიული ჰიპერტენზიის, გულის იშემიური დაავადების, ბრონქული ასთმის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის, გულის ქრონიკული უკმარისობის მართვის გზები პირველადი ჯანდაცვის დონეზე, ასევე გაანალიზებულია პირველადი ჯანდაცვის არსის და ფილოსოფიის საკითხები, ზოგადი პრაქტიკის ექიმის ფუნქციები, პირველადი ჯანდაცვის საბაზისო ელემენტები და ის ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებს ზოგადად, ამბულატორიული სამსახური. დამხმარე სახელმძღვანელოში ყურადღება მიექცა ბრონქული ასთმის წარმატებული მართვის გზებს ზოგადი პრაქტიკის პირობებში. დაწყებული დიაგნოზის დასმით, ასთმის ფონზე განვითარებული გადაუდებელი მდგომარეობის მართვით დამთავრებული, მითითებულია ასთმის მკურნალობისადმი საფეხურეობრივი მიდგომა და პროცესის მართვის ზონალური სისტემა (წითელი, ყვითელი, მწვანე ზონები). ხაზგასმულია დიაბეტი ტიპი-2-ის თავისებურებები, ასევე გართულებები, რომლებიც დამახასიათებელია ტიპი 1-ის და 2-ის დიაბეტის დროს, ასიმპტომურ და არადიაგნოსტირებული პირებში დიაბეტის გამოსავლენი სკრინინგ-ტესტები, გლიკემიის კონტროლის ხარისხის შესაფასებელი ტესტები, დიაბეტის ორივე ტიპისათვის მოწოდებული დიეტური რეკომენდაციები, ინსულინდამოკიდებული დიაბეტის მკურნალობა, დიაბეტის სკრინინგის ალგორითმები.

სახელმძღვანელოს ავტორმა ყურადღება გაამახვილა გულის უკმარისობის მართვზე პირველად ჯანდაცვაში, ნიუ-იორკის გულის ასოციაციის მიერ მოწოდებული გულის უკმარისობის კლასიფიკაციაზე, გულის უკმარისობის გამოკვლევის მეთოდებსა და მკურნალობის ალგორითმებზე.

საინტერესოდაა წარმოჩენილი გულის იშემიური დაავადების მართვის ძირითადი პრინციპები, დიფერენციული დიაგნოსტიკა - გულის იშემიური ტკივილის დროს, დიაგნოსტიკური ძიების ალგორითმი სტენოკარდიის საეჭვო შემთხვევაში, მეორადი პრევენციის საშუალებით ინფარქტის თავიდან აცილება, ინფარქტის ადრეული დიაგნოსტიკა, ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდის მაქსიმალური შემცირება და სათანადო ღონისძიებების განხორციელება, მდგომარეობის მართვა პოსტინფარქტულ პერიოდში.

ასევე - არტერიული ჰიპერტენზიის მართვა პირველად ჯანდაცვაში, დაავადების დეფინიცია, ეტიოპათოგენეზი, კლასიფიკაცია, ჰიპერტენზიის სადიაგნოსტიკო ტესტები, თვითკონტროლი, ლაბორატორიული კვლევები, მკურნალობა.

ქეთევან უკლებას დამხმარე სახელმძღვანელო ნამდვილად კარგი შენაძენია, რომელშიც მაღალკვალიფიკაციურადაა საუბარი მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე.

მაგული ჩხობაძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

მათი ცხოვრება უანჯარეს ღვინის ფერია

ჩვენი გაზეთი არაერთხელ შეხმიანებია ქალბატონი მარი ხვედელიძისა და ბატონი სიმონის ნამღვაწარს. სხვებთან ერთად ჩვენს გვახარებს ამ უხუცესი ადამიანების წარმატებები, მათ უმწიკლო ბიოგრაფიაზე საუბარი, მათი სამაგალითო შრომისმოყვარეობა და განსაკუთრებით სიყვარული ერთმანეთისადმი, ჩვენდამი. მშვენიერი წიგნიც კი მიუძღვნეს თავიანთი სიყვარულით გამოვლილ ცხოვრებას ქალბატონმა მარიმ და ბატონმა სიმონ. სამოცდაათწლიან ურთიერთხელჩაკიდებულობას მათ სამართლიანად დაარქვეს - „ჩვენი ცხოვრება უანკარეს ღვინის ფერია". სიყვარულმა მოიყვანა ისინი თითქმის საუკუნემდე და ვუოცავთ მათ ამ სიყვარულს, ამ დიდ გამარჯვებას.

განსაკუთრებულად გამორჩეულია ბატონი სიმონის შემოქმედებითი სკივრი. ათეულობით მონოგრაფიას მოიცავს იგი. ეს მონოგრაფიები მეცნიერული ნაშრომებიცაა და მემატიანეს თვალით დანახული საკუთარი ქალაქი, ქვეყანა, პიროვნება. მის წიგნებს ყოველწლიურად ემატება სიძვირფასე უტყუარობისა და მრავალფეროვნების გამო. ყველგან გატაცებით კითხულობენ მათ, ჩვენთან, უცხოეთშიც, ეხმიანებიან ავტორს, ამას წინათ ამერიკიდანაც მოაწვდინა ხმა მანუჩარ კაჯახიძემ , ჟურნალ „მამულის" რედაქტორმა, რომლისთვისაც , რასაკვირველია, ბატონი სიმონის სხვა წიგნებთან ერთად, სასიხარულო აღმოჩნდა ორტომეული "შორეული თავისიანები და ჩვენებური უცხოელები". ახლახან კი ასეთი ცნობაც დაიდო ინტერნეტსივრცეში:სასიხარულო ინფორმაცია ავსტრიიდან , რითაც მამამ ძალიან გაიხარა, არის ჩვენი საყვარელი სიძის გოჩა ვაშაკიძის დამსახურება. უღრმესი მადლობა მას.

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ამაგდარი მეცნიერისა და მწერლის სიმონ არველაძის ორტომეულის "შორეული თავისიანების და ჩვენებური უცხოელების "პრეზენტაცია. პრეზენტაცია გახსნა საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა გიორგი ტაბატაძემ და ისაუბრა წიგნში წარმოჩენილ უცხოელ მეგობართა ღვაწლსა და დამსახურებაზე. პრეზენტაცია გაშუქდა ქართულ და ავსტრიულ პრესაში და ტვ იმედზე.

ბატონი გოჩა და ნანა ხვანაძე , როგორც მწერლის შვილიშვილები, ამაყად წარუდგნენ საზოგადოებას.გასაოცარია პატარა მარიამის "დაინტერესება" სიმონ ბაბუს წიგნებით. მეგი არველაძე.

ქალბატონი მარი და ბატონი სიმონი თითქმის შვიდი ათეული წელი ხელმძღვანელობდნენ მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლეში ნორჩ შემოქმედთა წრეს. ახლახან გამოსული მათი წიგნი „ ადრეული პუბლიკაციები და ესეისტური ჩანაწერები" ამ სასახლის საიუბილეო თარიღს, 85 წლისთავს, ეძღვნება, ხოლო დარეჯან არველაძის „თაობათა აღზრდის კერა" თითქმის სრულყოფილად წარმოაჩენს არა მხოლოდ ნორჩ შემოქმედთა წრის გრძელ და უაღრესად საინტერესო გზას, არამედ სასახლის ისტორიასაც. სწორედ ამ წიგნებზე მოგითხრობთ.

***

მარი ხვედელიძისა და სიმონ არველაძის წიგნი „ადრინდელი პუბლიკაციები და ესეისტური ჩანაწერები" მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლეში 80 წლის საიუბილეო თარიღს ეძღვნება. ჩვენს თვალწინ გადაიშლება ამ ორი ჩინებული მოღვაწის შემოქმედებითი გზის სურათები, თუ რაოდენ დიდი ენერგია შეალიეს მათ მწერლური ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდების დაფრთიანებას, იმ ახალგაზრდებისა, რომლებმაც სხვადასხვა თაობის ქართული მწერლობის განვითარების პროცესში მტკიცედ დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი, არაერთი დღესაც წარმატებით რომ აგრძელებს სიტყვასთან შეჭიდებას და მათ ნაწერებს მკითხველი არ შემოლევია.

ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ქალბატონი მარისა და ბატონი სიმონის „მონაცემები" იმდენად სანდოა, იმდენად მოცულია ყოველგვარი ღირსებით, რაც ჭეშმარიტ ლიტერატორსა და მოაზროვნეს უნდა გააჩნდეს, იმდენად მდიდარია მათი პედაგოგიური ინდივიდუალობა, იშვიათად თუ მოხდებოდა, ვინმეს არ შეესმინა ამ მართლაც დიდი სიყვარულისა და სიკეთისათვის დაბადებული პიროვნებების დამრიგებლობა.

წიგნში ყველაფერია თავმოყრილი უკვე ასაკმოსილიცა და შედარებით აქეთური, ნახევარ საუკუნეზე მეტი დროისა და სივრცისა, თვალნათლივ რომ გამოჩნდეს არა მხოლოდ ორი თავდადებული მოღვაწე, მეუღლეები ოჯახშიცა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, არამედ მათი შეგირდებისა თუ ნაშეგირდალთა საასპარეზო ბილიკები, ვინ მწერლობაში გამოიჩინა თავი, ვინ ჟურნალისტობით გაითქვა სახელი, ვინ კიდევ მეცნიერ-პედაგოგისა და მკვლევრის გზა აირჩია და ყველა მათგანი საამაყოდ მიიჩნევს, მარი ხვედელიძისა და სიმონ არველაძის ნამოწაფარი რომ არიან.

ეს კრებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბიოგრაფიის კარგა მოზრდილი ნაწილიცაა. მხოლოდ ჩატარებული ღონისძიებებისა და შეხვედრების ნუსხას რომ გავადევნოთ თვალი, საკმარისი აღმოჩნდება, ვირწმუნოთ, რაოდენ დიდი შრომისმოყვარეობა და ენერგია დახარჯულა ახალგაზრდობის ლიტერატურული სამყაროს გაფართოება-განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, ამ მშვენიერ წიგნში მოთავსებული ინფორმაცია მეტად ძვირფასია, მრავალფეროვნებითა და ტევადობით, ყოველთვის რომ მიიქცევენ ყურადღებას და, ამდენად, ისტორიის ფურცლებად არიან ქცეული. თუმცა არანაკლები ინტერესის აღმძვრელია ის პუბლიკაციებიცა და ესეები სხვადასხვა დროს რომ გამოუქვეყნებიათ კრებულის ავტორებს. ბატონ სიმონის საკვლევაძიებო მოღვაწეობაზე იმდენია ნათქვამი და დაწერილი, ძნელია რაიმე ახლის დამატება, იგი ყოველთვის, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, გამოირჩეოდა არა მხოლოდ პედაგოგიური საქმიანობით, არამედ როგორც მწერალი-კრიტიკოსი და ლიტერატორ-შემფასებელი. ათეულობით წიგნის ავტორი გახლავთ და საუკუნოვან მწვერვალს ისე მიუახლოვდა, მუხლჩახრილი ერთხელაც არ უნახავს ვინმეს.

ქალბატონ მარის ჩანაწერებსა და წერილებზე მინდა ვთქვა: რომელიც არ უნდა წაიკითხო, ჩვენებურსა თუ უცხოზე დაწერილი, ნამდვილი ლიტერატორის გემოვნება იგრძნობა მოწონებასა და დაწუნებაშიც. ოტია იოსელიანს კმაყოფილება გამოუთქვამს „მნათობში" თავის მოთხრობებზე სტატია რომ უნახავს. რატომაც არ იქნებოდა კმაყოფილი! - როგორც თვითონ შეეძლო სიტყვის მიზანში მორტყმა, ისევე შეძლო რეცენზეტმაც. ნაღდი ლიტერატურული ფაქტის შემჩნევა სხვაზე ადრე შეეძლო მარი ხვედელიძეს და სხვაზე უკეთაც ახერხებდა სათქმელის გადმოცემას. მის სხვა წერილებსაც რომ წავიკითხავთ, მართლაც გულდასაწყვეტად მივიჩნევთ, რომ მან ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ასპირანტურის კურსგავლილმა, სხვადასხვა გარემოებათა გამო ვერ გააგრძელა გზა სამეცნიერო ასპარეზზე, თუმცა მისი საქმენი, მისი ხანგძლივი მოღვაწეობა ერთი დიდებული უნივერსიტეტი მაინცაა.

„ადრინდელი პუბლიკაციები და ესეისტური ჩანაწერები" მეც მისახსოვრეს ქალბატონმა მარიმ და ბატონმა სიმონმა. მიმაჩნია,რომ ეს წიგნი ყველას სახსოვარია, ყოველთვის საჭირო, ყოველთვის მოუხედავენ მას თაობები, ესაა სიცოცხლით სავსე ადამიანების ცხოვრება, ესაა გამარჯვებებით ზეიმი, ესაა სიკეთისა და სითბოს გადანაწილება ათასობით ადამიანზე, ესაა მაგალითი ენერგიადაულევლობის, ყოველდღიური წყურვილის, ყოველდღიური გათენების, ესაა დიდ ქართულ მწერლობიდან გამომდინარეობა, მისი ფესვებით კვება, მისი სამყაროდან ენერგიის მიღება. .. სხვაგვარად არ შეიძლებოდა ამოდენა სიყვარული გამომჟღავნებულიყო, სხვაგვარად არ შეიძლებოდა არაერთხელ შეხვედროდი იოსებ გრიშაშვილს, სიმონ ჩიქოვანს, მუხრან მაჭავარიანს, ვარლამ თოფურიას, ზურაბ კუხიანიძეს, ყველას, ვინც

ქართული გენებით საზრდოობდა, ეამაყებოდა ქართველობა... სხვაგვარად არ შეიძლებოდა ასეთი დიდი ჭირნახული მოეწიათ ქალბატონ მარისა და ბატონ სიმონს!

***

რაც შეეხება „თაობათა აღზრდის კერას", ეს წიგნი უდავოდ სამაგალითოა მეტად ძვირფასი ინფორმაციის მოკრებითა და შინაარსით. რა თქმა უნდა, დიდი შრომაა გაწეული. მიუხედავად იმისა, რომ დარეჯან არველაძისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა აქ მოთავსებული მასალის მოძიება (ბატონი სიმონისა და ქალბატონი მარის სამოღვაწეო სკივრი ყველაფერს იტევსა და ინახავს), ბუნებრივია, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინო, წაიკითხო, გაანალიზო და მოამზადო დასაბეჭდად, ამისთვის დროცაა საჭირო და გამოცდილება.ალბათ მისი ხელით უნდა დაწერილიყო ეს მშვენიერი ისტორია, ისტორია ახალგაზრდა მწერლებთან ხანგძლივი ურთიერთობისა, რომელიც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მისი მშობლების მოღვაწეობასთან, იმ პიროვნებებთან, მთელი სიცოცხლე რომ შეალიეს ქართულ მწერლობას, ქართული სულის გაღვივებასა და გაძლიერებას.

მართლაც თაობათა არზრდის კერა გახლდათ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იდგამს ფეხს, იგი მხოლოდ ხუთი წლით ჩამორჩება ჩვენს უნივერსიტეტს, იმ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც მარი ხვედელიძისა და სიმონ არველაძის აღზრდილები აგრძელებდნენ სწავლას, იყვნენ ცნობილი მწერლები და მეცნიერები, საქმიანობითა და ჭკუა-გონებით მისაბაძი ადამიანები. ახლაც არაერთი გამორჩეული მოღვაწე აგრძელებს თავის სახელოვან ბიოგრაფიას არა მარტო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ ქუთაისში, მთელ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

წიგნი განსაკუთრებულად საყურადღებოა იმითაც, რომ აქ თვალნათლივ ჩანს ახალგაზრდობის სასახლეში უწყვეტი ცვლა თაობებისა...ერთი შეხედვით ძალიან მარტივად გამოითქმის სიტყვები - ნორჩ შემოქმედთა წრე, თითქოს ჩვეულებრივი, ათასჯერ გაგონილი ფრაზაა, მაგრამ დარეჯან არველაძის მიერ შემოთავაზებულ მასალებს რომ გადახედავ, კარგად გადაათვალიერებ მთელ მატეანეს, გაგიკვირდება, ასეთ მომცრო წიგნში როგორ ჩაეტია მთელი ოთხმოცი წელი, თანაც ამ ოთხმოციდან სამოცდაათი წელი სიმონ არველაძისა და მარი ხვედელიძის სტაჟად ითვლება.

ძნელია ყველა იმ პიროვნებაზე ვისაუბროთ, წიგნის გმირებად რომ არიან ქცეული, ისინი ათეულობითა და ასეულობითაა, ზოგიერთი მათგანი კარგა ხნის გარდაცვლილიცაა, უამრავი კი თამამად ქმნიან თავიანთი ბიოგრაფიის ფურცლებს და ამყობენ იმით, რომ ასეთი ასაკოვანი სასახლის აღზრდილები არიან, ამაყობენ იმითაც, რომ მათი მასწავლებლები შრომისა და გამძლეობის მაგალითს კვლავ იძლევიან, კვლავ ერთად წევენ ცხოვრების ჭაპანს.

„თაობათა აღზრდის კერას" სიმონ არველაძის, ამჯერად რედაქტორის, წინასიტყვაობა ახლავს, მეტად საინტერესო და საყურადღებო. ერთგან იგი სიცოცხლესა და ადამიანებთან ურთიერობაზე საუბრობს, როცა იხსენებს ახალგაზრდობის სასახლეში გატარებულ წლებს, იხსენებს უამრავ მის ნამოწაფარს, ვის არ იხსენებს ბატონი სიმონი და მივყვეთ ტექსტს:

„ამ მარადიულ პროცესს პერმანენტულად ტან ახლავს ისეთი კომპონენტი, ურომლისოდაც ცხოვრება დუნე და მოსაწყენი იქნებოდა. ეს კომპონენტია ძიება და შემოქმედება, ინტელექტისა და შთაგონების აქტიური მოღვაწეობის არეალი, ახლისა და ორიგინალური მხატვრული აზროვნებისა და კულტურის უნიკალური ღირებულებანი, ერთი სიტყვით, ახლის ძიება, სიმართლის დადგენა და ცხოვრებისეული რეალობის წარმოჩენა მრავალნაირი ფორმით - ლექსი, ბალადა, პოემა, პუბლიცისტური თუ მეცნიერული ნაშრომები, კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა ქმნადობის პროცესია, და სწორედ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დაარსებიდან დღემდე - 80 წლის საიუბილეო თარიღამდე".

დარეჯან არველაძის „თაობათა აღზრდის კერა" ნამდვილად კარგი საჩუქარია არა მხოლოდ ნორჩ შემოქმედთა წრეში აღზრდილებისათვის, არამედ ყველასთვის, ვინც ამ წრის სტუმარი ყოფილა, ვისაც ქართული მწერლობა უყვარს, ვისაც შეუძლია თაობათა დასამახსოვრებელი საქმეები აკეთოს.

გია ხოფერია





რა დროს ჰუმანიზმია

მნიშნელოვანი არ არის, რამდენად პრინციპულია ადამიანი, არც ის, თუ ვის მიმართ ავლენს ამ ,,პრინციპულობას", მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი პრინციპები არ მიაჩნდეს საყოველთაო სიმართლის გამოხატულებად, რადგან ეს აფერხებს დამოუკიდებელ სვლას განვითარებისაკენ, გონება იბოჭება დოგმატური აზრების გარემოცვაში და სხვა განზოგადებულ აზრებს მნიშვნელობას აღარ ანიჭებს.

კაცობრიობის ისტორიაში, ეგრედწოდებული ჰუმანიზმი მრავალ ასპექტში გვხვდება. ისტორიკოსთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ რენესანსს თან ახლდა ჰუმანიზმი და რომ ადამიანთა მსოფლმხედველობაც თანმიმდევრულად შეცვალა ამ კულტურულმა მოვლენამ. უპრიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ჰუმანიზმმა ყოველ ეპოქაში ჰპოვა ნათელი გამოვლინება; მართალია, ზოგადი ფონი გვიან შუა საუკუნეებამდე არ შეიქმნა, მაგრამ წინარე ეპოქებშიც მნიშვნელოვანწილად დომინირებდა აზრი, რომლის თანახმადაც ადამიანის ღირებულებითი დანიშნულება უზოგადესი გახლდათ. ყოველი ეპოქა ქმნიდა კულტურულ ფონს, რომელიც მომდევნო ეპოქების მასაზრდოვებლად გადაიქცეოდა.

მოყოლებული ანტიკური ხანიდან, ადამიანის აზროვნება სამყაროს სუბსტანციის ძიების მცდელობიდან ადამიანური არსებობის საზრისის ძიებისაკენ მიიმართა. ადამიანს ,,გადაავიწყდა" მატერიალისტური ძიებანი და იდეალისტური მიმართულებით დაიწყო სვლა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გონებითმა მახასიათებლებმა. ,,შეიცან თავი შენი", - დელფოს სამისნოზე წაწერილი ეს ფრაზა დაუდო საფუძვლად თავის ფილოსოფიას სოკრატემ. როგორც ციცერონი ამბობდა: ,,სოკრატემ ჩამოიყვანა ფილოსოფია ზეციდან მიწაზე". სწორედ სოკრატეს ფილოსოფია გახდა წინაპირობა იდეალისტური მიმართულებისა. მართალია, მის მიერ დაწერილი დღესდღეისობით არაფერი მოგვეპოვება, მაგრამ მრავალი წყარო ადასტურებს სოკრატეს რეალურ არსებობასა და მისი ფილოსოფიის სიღრმეს. საკმარისია გადავხედოთ პლატონის დიალოგებსა და არისტოტელეს ,,სოკრატეს აპოლოგიას", ჩვენ დავრწმუნდებით, თუ საიდან არის ნასაზრდოვები ევროპული სინამდვილე... აღმოვაჩენთ ჰუმანიზმის ფესვებს.

ცალსახაა იმაზე საუბარი, რომ ადრე შუა საუკუნეებში, ანტიკურ ხანასთან შედარებით, მრავალი საფეხურით უკან დაიხია ადამიანის ღირებულებითმა დანიშნულებამ, რის მიზეზადაც, პირველ რიგში, ქრისტიანობა უნდა დავასახელოთ. მოძღვრებად ჩამოყალიბებული ქრისტიანობა თანდათან გადაიქცა მრისხანების, დაუნდობლობისა და სიბოროტის წყაროდ. მანამდე არსებული მოძღვრებები მყისვე შერაცხა მკრეხელობად და ეს იმდენად დამაჯერებლად გამოუვიდა ქრისტიანობას, რომ მისმა მესვეურებმა სახელმწიფოებრივ დონეზე მოიპოვეს დიდება, ქრისტიანობა ხომ სახელმწიფო რელიგიად მკვიდრდებოდა მრავალ ქვეყანაში. მშიერ, დაჩაგრულ ხალხს ქრისტიანობა ხსნად მოეჩვენათ, რადგან ამისათვის ყველანაირი წინაპირობა შეიქმნა. რომაელების მხრიდან კარგად დაგეგმილ პროვოკაციას უცოდინარი, ყველანაირი ღირებულებებისაგან დაცლილი საზოგადოება აპყვა. ეს იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა ადამიანების მიმართ, რასაც ორი შეთანხმებული მხარე მშვენივრად ანხორციელებდა. მიმდინარეობდა მიზანმიმართული გმობა ფილოსოფიური აზროვნებისა, სინამდვილეში კი, ქრისტიანობის მესვეურები აბსოლუტურად ეყრდნობოდნენ აღმოსავლურ და ძველ ბერძნულ ფილოსოფიას, რისი ხილული ნიმუშებიც გნოსტიციზმმა შემოგვინახა. პირველ-მეორე საუკუნეებში შექმნილი ტექსტები პირდაპირი ანალოგიებით გვიჩვენებს, რომ ძველბერძნული ფილოსოფია განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოჩინდა. პატრისტიკა კი, მოჩვენებითი კონცეფციებით ინვრცობა, საიდანაც უკვე პირდაპირ ითრგუნება ფილოსოფიის მნიშვნელობა და რელიგიური დოქტრინები მახინჯი ფორმით იწყებს დამკვიდრებას ადამიანთა ცნობიერებაში. უსახსრო ადამიანებმა დაიწყეს სწრაფვა ქრისტიანობისაკენ... თუმცა, ადამიანთა წინააღმდეგობრივმა ბუნებამ თავი იჩინა. მეშვიდე საუკუნეში გამოჩნდა კიდევ ერთი ფსევდო მოციქული, რომელმაც ახალი ღმერთის ალტერნატივა წამოაყენა... მუჰამედი - თავის ალაჰით. ასე, სწრაფი ნაბიჯებით, მივუახლოვდით წყვდიადს, რომელიც ,,სქოლასტიკის" სახელით არის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში.

გააჩნია ხედვის გემოვნებას, რა რაკურსით დავინახავთ კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ ლოგიკური ანალიზის უნარს თუ არ დავთრგუნავთ ფსევდო ღირებულებებით, პასუხსაც ნათლად მივიღებთ იმ საყოველთაო კითხვებზე, რაც ასე გვაწუხებს ადამიანებს.

მართალია, სქოლასტიკის პერიოდშიც გვხვდება ერთეული ,,გამონათებები" მსოფლიო ასპარეზზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგადად ჯანსაღი ფონი იყო შექმნილი. უვიციზმის მწვერვალს წარმოადგენს ქართული ,,საზოგადოება" თავისი ,,შინაარსით" ეგრედწოდებულ ,,ოქროს ხანაში", სადაც ერთეულ ადამიანთა ძალისხმევით შექმნილი სტაბილურობა ერთი საუკუნეც არ შენარჩუნდა. რომ არა უბრალო შემთხვევითობანი, დღესდღეისობით ,,ვეფხისტყაოსანსაც" ვერ გადავშლიდით, რადგან არც ეს წიგნი გვექნებოდა შემორჩენილი და არც ინფორმაცია მის შესახებ, რომ ოდესღაც ის დაიწერა. ვფიქრობ, იმის მიუხედავათ, რომ კაცობრიობის ისტორიამ მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი შემოუნახა თაობებს, კიდევ მრავალი დაკარგული და განადგურებულია, ეს კი იმ არაჯანსაღი გარემოს დამსახურებაა, რაც შუა საუკუნეებში შეიქმნა.

ჰუმანიზმის ფორმალური დამკვიდრება რენესანსის ეპოქაში ხდება, სადაც ხელოვნების მრავალი დარგი განვითარდა. გათავისუფლდა რა რელიგიის მარწუხებისაგან, ჯანსაღი აზროვნება კრიტიკული განსჯის უნარით მიიმართა სამყაროს მოწესრიგებისაკენ... თითქოს, ღრმა ძილში მყოფმა ადამიანმა გაიღვიძაო. განმანათლებელთა ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომებმა ძირფესვიანად შეცვალეს განვითარების ვექტორი. რელიგიის ბატონობა სრულდება და ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ზოგადი მნიშვნელობის ღირებულებები იკავებს მახინჯი სისტემის ადგილს, რომელიც რელიგიურმა ფუნდამენტალისტებმა და შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ - ფანატიკოსებმა შექმნეს.

ცდა იმისა, რომ ანტიკური ხანის ღირებულებები გაეთავისებინა რენესანსის ,,საზოგადოებას", შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტ-ნაკლებად განხორციელდა. თუმცა მდგრადობა, რომელიც ყოველგვარ სიმშვიდესა და სიკეთეს მოუტანდა კაცობრიობას - არ შენარჩუნდა, რადგან ერთი უკიდურესობა მეორემ შეცვალა.

არ იქნება მოულოდნელი იმის აღნიშვნა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი, საბოლოო ჯამში, მოასწავებს ყოველგვარი რესურსის ამოწურვას, რისი საშუალებითაც ბუნება საზრდოობს.., ეს ეხება ადამიანის აზროვნებასაც.

ფილოსოფიის მთლიანობას გამოეყო საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები, რომლებიც ,,კერძო მეცნიერებების" სახელით დამკვიდრდნენ. მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნიდან, პერმანენტული ხასიათი მიიღო ცალკეული მეცნიერებების შესწავლამ, რისი გამოხატულებაც არერთი ნაშრომი გახდა მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ლოგიკის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დარგში. ბუნებრივია, ამ ყველაფერს თან მოჰყვა ემპირიზმის განვითარება და რაციონალიზმმა თავისი ტრადიციული ფუნქცია დაკარგა.

შუა საუკუნეების უკიდურესობა, რაც რელიგიური შეუწყნარებლობით საღი აზრის გმობის შედეგი გახლდათ, ჩაანაცვლა ტექნოლოგიური აღმასვლისა და რელიგიური სიმრავლის უკიდურესობამ, რაც შეინიღბა ,,ჰუმანიზმად". მეოცე საუკუნეში მოხდა ის ,,დიდი აფეთქება", რომლის შედეგადაც გაფანტული ,,ნამსხვრევები" ასე მაგნიტივით მიიზიდა ადამიანის სხეულმა. თანამედროვე ვითარება არათუ ვერ გამოხატავს ჰუმანიზმის შინაარსს, არამედ პრინციპულად უპირისპირდება. მოჩვენებითი იდილია, რეალურად ანადგურებს ყოველგვარ ადამიანურს: აზროვნებას, ღირებულებებსა და ესთეტიკურ მშვენიერებას. ადამიანი იცლება ყოველგვარი გრძნობებისა და ემოციებისაგან. ის, საბოლოო ჯამში, გადაიქცევა თავისივე შექმნილი ტექნოლოგიური მონსტრების ლუკმად, რომელი მდგომარეობის შემდეგაც ადამიანს აღარ დასჭირდება აზროვნება... წინასწარ გაწერილი, პროგრამული დაკვეთით შესაძლებელი გახდება მსოფლიო წესრიგის დამყარება.

განვითარების მწვერვალისაკენ სვლა დასასრულის დასაწყისისაკენ გადადგმული ნაბიჯებია. რამდენადაც ვშორდებით წრის ათვლის წერტილს - იმდენადვე ვუახლოვდებით და ეს მუდმივ პროცესად არის გადაქცეული.

რა დროს ჰუმანიზმია, როცა მსოფლიოში წამში რამდენიმე ათასი ბავშვი იღუპება შიმშლით, როცა ორსული დედები წელიწადში რამდენიმე მილიონ ჯერ არ დაბადებულ ბავშვს კლავენ, როცა წელიწადში რამდენიმე ათასი ჯარისკაცი იღუპება სხვადასხვა ,,ცხელ წერტილში", როცა ხელოვნურად შექმნილი დაავადებები ვრცელდება, რომლის შედეგადაც მილიონობით ადამიანი იღუპება, როცა რელიგია ადამიანების მკვლელობას ქადაგებს, როცა მანკიერი ტრადიცია ნორმად არის ქცეული, როცა უვარგის იდეებს ეწირება მილიონობით ადამიანი, როცა ერთეულ ადამიანთა ნება-სურვილებზეა დამოკიდებული კაცობრიობისა და სრულიად პლანეტის ბედი...

და მაინც, არსებობს ჰუმანიზმი, როგორც ასეთი?! თავისი ბუნებით ადამიანი ჰუმანისტია?! სად გადის ზღვარი ჰუმანიზმსა და რადიკალიზმს შორის?!

ადამიანური ბუნება წინააღმდეგობრივია. ჰუმანიზმის პირვანდელი, სისტემური სახე აღმოსავლურ ცივილიზაციაში უნდა ვეძებოთ, სადაც მდუმარებითა და აზროვნების სიღრმით მიილტვოდნენ სულიერი მდგრადობის მოპოვებისაკენ; ეს დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, სამყაროსადმი და სამყაროს დამოკიდებულება ამ ადამიანებისადმი გახლდათ ჰუმანიზმის პირვანდელი, სისტემური გამოვლინება, სადაც ღირებულებები ბუნებრივად მკვიდრდებოდა.

ის, ვინც დღევანდელ ეპოქაში თავს ჰუმანისტად აჩვენებს, - იტყუება, რადგან შეუძლებელია დღეს ჰუმანისტი იყო. რა დროს ჰუმანიზმია, როცა მსოფლიო იღუპება...

გორვანელი

პეტრე ვაჭრიძის გახსენება
(გარდაცვალებიდან 10 წლისთავის გამო)

მიმდინარე წლის 19 თებერვალს ათი წელი გავიდა თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ პეტრე ვაჭრიძის გარდაცვალებიდან.

პეტრე ვარლამის ძე ვაჭრიძე დაიბადა 1929 წლის 19 აგვისტოს ქალაქ ქუთაისში, ცნობილი მესტამბის (ასოთამწყობის) ვარლამ პეტრეს ძე ვაჭრიძის ოჯახში. 1937 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის 24-ე საშუალ სკოლაში, 1943 წელს ქალ—ვაჟთა ცალ—ცალკე სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით გადაიყვანეს ქუთაისის ვაჟთა მე—7 საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1949 წელს და სწავლა განაგრძო ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც გამორჩეული სტუდენტი იყო — სტალინური სტიპენდიატი, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთან სამეცნიერო მუშაობაში, რასაც მოწმობს უნივერსიტეტში დაცული სტუდენტთა სამეცნიერო სესიების მასალები (იხ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა, X, 1950; XI, 1951; XIII, 1953).

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე, 1953 წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის მე—9 საშუალო (რუსული) სკოლის ისტორიის მასწავლებლად. სკოლაში მოღვაწეობის პარალელურად, 1954-1961 წლებში ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ—მუკაშადაც მუშაობდა, ხოლო 1961 წლიდან ამავე მუზეუმის ფონდის გამგეა. მუზეუმში მუშაობის პერიოდში, 1967 წელს, დაცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო დასახლებანი რეფორმის შემდგომ ხანაში". 1969 წლის 1 სექტემბრიდან პ. ვაჭრიძე დაინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ პეტრემ საქმიანობა პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა, მას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმთან. იგი ბოლომდე დარჩა მუზეუმისა და ზოგადად მუზეუმელებისათვის ერთგულ მეგობრად და აქტიურ ქომაგად. პ. ვაჭრიძე ყოველთვის საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა ქუთაისის მუზეუმში, რა პრობლემები იყო მის წინაშე. ცალკე უნდა აღინიშნოს, მისი და მუზეუმის დირექტორის, პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის მეგობრული ურთიერთობა. 1971 წლის 25 სექტემბრიდან ბ—ნი პეტრე ინიშნება ინსტიტუტის ისტორია—ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 1971 წლის 3 დეკემბრიდან იგი სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის დოცენტია, ხოლო 1973 წელს მას სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დოცენტის სამეცნიერო წოდება დაუმტკიცა. 1974 წლის 20 ივნისიდან იგი ისტორია—ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია. ეს თანამდებობა მან პირადი განცხადებით დატოვა 1986 წლის მაისში. 1975 წლის ივლისიდან 1976 წლის თებერვლამდე, დროებით ასრულებდა მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგის მოვალეობას. 1987 წლის დეკემბრიდან 1998 წლის თებერვლამდე, პ. ვაჭრიძე ჯერ სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის კათედრის, ხოლო შემდეგ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. ამასთანავე, 1993 წლიდან მუშაობდა ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (რომლის ერთ—ერთი დამაარსებელი თავად იყო) მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად. 2006 წლის 28 აგვისტოდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორია, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

პ. ვაჭრიძე იყო მაღალპროფესიონალი და დიდად პროდუქტიული მკვლევარ—მეცნიერი, რომელმაც ათეულობით ნაშრომი დატოვა. იგი ავტორია ათეულობით წიგნისა და მონოგრაფიისა. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977; როტაციონის ბრუნავს მანქანა (ქუთაისში წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან), 1800-1921 წწ., ქუთ., 1979; ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში (თანაავტორი გ. ვაჭრიძე), ქუთ., 1995; ქუთაისის პოლიტიკურ—ადმინისტრაციული სტატუსის ისტორიისათვის (თანავტორი გ. ვაჭრიძე), ქუთ., 1995; დავით მანდარიას ცხოვრების წიგნი, ქუთ., 1997; ხონის ისტორიიდან (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა)ბ თბ., 1998; ხონის სამასწავლებლო სემინარია, თბ., 2000 და სხვ. პ. ვაჭრიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის შესწავლის საქმეში. იგი სხვებთან ერთად ერთ—ერთი ავტორია 1985 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიისა „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი".

პ. ვაჭრიძის რედაქტორებით გამოიცა რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფია, რამაც მკითხველი საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. მაგალითად, იხ. მ. ნიკოლეიშვილი — „ისტორიული მხარეთმცოდნეობის საკითხები", ქუთ., 2003; ვ. წვერავა — „საქათველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში", ქუთ., 2003; ა. ფაილოძე — „ხონის ტაძრის წარწერები", ქუთ., 2004 და სხვ. 1993 წლიდან იგი ქუთაისის ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებულის სარედაქციო კოლეგიის, ხოლო 2002-2006 წლებში ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის მიერ გამოცემული კრებულების სარედაქციო საბჭოს წევრია. მისი ავტორობით პერიოდულ პრესაში თუ სამეცნიერო ჟურნალ—კრებულებში ასზე მეტი სტატია თუ სამეცნიერო პუბლიკაცია არის დაბეჭდილი.

პ. ვაჭრიძე იყო მონაწილე არაერთი საერთაშორისო, რესპუბლიკური თუ ინტერდისციპლინარული რეგიონალური სამეცნიერო კონფერენციისა, სადაც მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს მაღალი აკადემიური დონე და საკვლევი მასალის ღრმა ცოდნა, მასალის ნიჭიერი ანალიზი გამოარჩევდა. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში ათეულობით სადიპლომო თუ სამაგისტრო ნაშრომია დაცული. აქტიურად მონაწილეობდა იმ საკანდიდატო დისერტაციების მომზადებაში, რაც უნივერსიტეტში, საქართველოს ისტორიის კათედრაზე შესრულდა.

იგი არჩეული იყო გელათის სახალხო აკადემიის ნამდვილ წევრად. პ. ვაჭრიძე პროფესორებთან: გ. გაბუნიასთან, ლ. სანიკიძესთან, გ. მჭედლიძესთან, ა. სურგულაძესთან და სხვა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ოცდაერთ დავითიანელთან ერთად, სათავეში ედგა „დავით აღმაშენებლის ძეთა და ძის—ძეთა საყმოს" დაფუძნებას, რაც ორმოცი წელი ფუნქციონირებდა. მზრუნველობას უწევდა ქუთაისთან, იმერეთთან და ზოგადად ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ეროვნულ საქმეს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში არ დარჩენილა რაიმე სახის კულტურულ—საგანმანათლებლო ღონისძიება, რაშიც მას უშუალო მონაწილეობა არ მიეღო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნიჭიერი, შემოქმედებითი ახალგაზრდებისადმი პეტრე ვაჭრიძის გულთბილი დამოკიდებულება. ბ—ნი პეტრე არაერთი თაობის აღმზრდელი და გზის გამკვალვი იყო. მას წლების განმავლობაში ეკავა მისაღები კომისიის თავმჯომარის თანამდებობა, რაც არასოდეს არ გამოუყენებია პირადი კეთილდღეობისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თავის კოლეგებში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პ. ვაჭრიძე აქტიურ სამეცნიერო—პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად ათავსებდა საზოგადო საქმიანობასთან, რისი დასტურია ქალაქ ქუთაისის საპატიო მოქალაქეობა და მრავალი სახელმწიფო ჯილდო, მათ შორის — ღირსების ორდენი. მინიჭებული ჰქონდა კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის ჯილდო — „21—ე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის". იგი გარდაცალებამდე ხელმძღვანელობდა ქართულ—ებრაულ ურთიერთობათა საქალაქო საზოგადოებას და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ ამავე მიმართულების სამეცნიერო ლაბორატორიას.

ბ-ნი პეტრეს გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა როგორც უნივერსიტეტის, ასევე ქალაქის მოწინავე საზოგადოება. როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ პრესაში დაიბეჭდა არაერთი სამძიმრის დეპეშა და ნეკროლოგი. სწორედ ბ—ნი პეტრეს ავტორიტეტზე და მის პატივისცემაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იგი მშობლიური უნივერსიტეტიდან გამოასვენეს, რასაც წინ უძღოდა სამგლოვიარო მიტინგი, სადაც სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ს. კუპრაშვილმა, პროფესორმა გ. ონიანმა, პროფესორმა ა. ნიკოლეიშვილმა, პროფესორმა გ. გაბუნიამ, პროფესორმა მ . ნიკოლეიშვილმა, პროფესორმა ო. ჩხეიძემ, ქალაქ ხონის საზოგადოების სახელით — ა. ფაილოძემ და სხვებმა. მას მრავალი საინტერესო სამეცნიერო ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. თვალსაჩინო მეცნიერის სულმა იმიერ ქვეყანაში გადანაცვლების შემდეგ ჰპოვა მარადიული სიმშვიდე. ჩვენ კი დაგვიტოვა გაუხუნარი მოგონებები, პატივისცემა და სიყვარული. დაგვიტოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის ქარცეცხლიანი ეპიზოდებით აღსავსე, ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულია მკვლევარი და ფართო მკითხველი საზოგადოება.

პ. ვაჭრიძე დაკრძალულია ქალაქ ქუთაისში, ძელქვიანის სასაფლაოზე.

კახაბერ ქებულაძე
ისტორია-არქეოლოგიის
დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

ნათელი გულის კაცი



მალე ორმოცი დღე გადის, რაც გვერდით აღარაა ნათელი გულის კაცი, უღალატო, ერთგული მეგობარი და უბრალოდ ძალზე კარგი ადამიანი, ჩვენი ელდარ ბასილაძე.

სტუდენტობიდან მოყოლებული იგი 50 წლის მანძილზე მშობლიური უნივერსიტეტით ცხოვრობდა. მან წარჩინებით დაამთავრა მაშინდელი ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. იგი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი და ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი იყო, რაც საუკეთესოდ ჩანდა ლექცია-პრაქტიკუმების ჩატარებისას თუ კერძო საუბრებში.

გარდაცვლილ ადამიანზე ან კარგი უნდა ითქვას ან არაფერიო! შენ კი იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნები, რომლის ბიოგრაფიაში მავანს, დიდი მცდელობის შემთხვევაშიც კი გაუჭირდება რაიმე ხინჯის მონახვა. ღმერთის მიერ ბოძებულია ის ადამიანური თვისებები, რომელიც შენს პიროვნებაში იყო თავმოყრილი და რომელიც დღეს დიდი იშვიათობაა.

ბუნების შვილს უზომოდ გიყვარდა გაზაფხული და ღვთის ნება იყო სწორედ ის, რომ შენს მშობლიურ კუთხეში, ვენახის ძირში, მოულოდნელად შეწყდა შენი სიცოცხლე.

გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის ზაფხულის მოახლოვება საველე პრაქტიკებთან ასოცირდება. იმ პრაქტიკებთან, რომლის სულის ჩამდგმელი და უბადლო ორგანიზატორი იყო ელდარ ბასილაძე. მას შეიძლება ითქვას თვალდახუჭულს შეეძლო საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ბუნების უშეცდომო „კითხვა".

მოდის ზაფხული... ძალიან გვიჭირს უშენობა, უკვე გვენატრება შენი ჩუმი ჩაცინება და საქმიანი ფუსფუსი კათედრაზე, რომელსაც ნამდვილად დააკლდება შენი ხელი.

მშვიდობით ჩვენო ელდარი, ერთგულო, უღალატო მეგობარო!

დარწმუნებული ვართ უნივერსიტეტს დიდხანს გაყვება შენზე კეთილი და ცრემლიანი მოგონება.

გეოგრაფიის დეპარტამენტი

„დიდებული დიდებულთა ძორის" - ბატონი თედო უთურგაიძე

თედო უთურგაიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 27.06.2017

„დიდებული პიროვნება და მეცნიერი", „დიდებული და უსაყვარლესი პიროვნება", „უაღრესად კეთილშობილი ადამიანი", „არაჩვეულებრივი პიროვნება", „სტუდენტების მეგობარი", „ჩვენი მოძღვარი"... „მამა იყო ჩვენი", „დაობლდა ენათმეცნიერება", „დაობლდა ჩვენი ინსტიტუტი", „დიდი დანაკლისი მეცნიერებისათვის", „სამყარო დაპატარავდა და დაკნინდა უთქვენოდ"... — ასე წერდნენ, ასე ამკობდნენ თებერვლის შუა რიცხვებში კოლეგები, მოწაფეები, სტუდენტები, ახლობლები... გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრს პროფესორ თედო (თედორე) უთურგაიძეს. კიდევ ერთი ბუმბერაზი პიროვნება და მეცნიერი გამოაკლდა ქართულ ენათმეცნიერებას. იმიერში გადაინაცვლა ბატონმა თედომ და თან გაიყოლა ზღვა ცრემლისა და დარდი უამრავი გულისა, ფიქრი იმისა, რა იქნება შემდგომ, უმისოდ...

თედო უთურგაიძემ ინდივიდუალობით აღბეჭდილი წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ენათმეცნიერებაში. იგი გამორჩეულია გამოკვეთილი აზროვნებისა და კვლევის სტილით. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო ძირითადად მოიცავს ქართული ენისა და ქართული დიალექტების სტრუქტურის კვლევას.

თედო უთურგაიძემ სამეცნიერო მოღვაწეობა თავისი მშობლიური კუთხის მეტყველების შესწავლით დაიწყო. 1954 წელს მან (აკაკი შანიძის ასპირანტმა) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის თუშური კილო" და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი; 1970 წელს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით" და მიენიჭა პროფესორის წოდება. მას შემდეგ გაფართოვდა თედო უთურგაიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო. იგი წლების განმავლობაში იკვლევდა ქართული ენის შესწავლის ისტორიას. აღსანიშნავია მისი წვლილი ანტონ I-ისა და ზურაბ შანშოვანის გრამატიკების შესწავლაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2012 წლის 6 ივნისის დადგენილებით ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დარგში ნაშრომისათვის „ქართული ენის შესწავლის ისტორია" თედო უთურგაიძეს მიენიჭა არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია.

განსაკუთრებით დიდია თედო უთურგაიძის დამსახურება საქართველოში ენის კომპიუტერული მოდელირების განვითარებაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში კომპიუტერული ტექნოლოგიების შემოტანის პირველივე ეტაპზე მან აქტიურად დაიწყო ენის მოდელირების საკითხებზე მუშაობა. 1996 წელს დააარსა სამეცნიერო საზოგადოება „*eqselsiori/ Excelsior*", რომელიც ენის მოდელირების დარგში ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო საზოგადოება იყო საქართველოში. 2000 წლიდან მუშაობდა ქართული ენის მორფოლოგიისა (სახელისა და ზმნის მოდელირება) და სინტაქსის (მარტივი გავრცობილი წინადადება) ფორმალიზაციის საკითხებზე, ავტომატური ამოცნობის პროგრამასა და ქართული მთარგმნელი პროგრამის შექმნაზე. თედო უთურგაიძის ლინგვისტურ თეორიებსა და ქართული ენისათვის შემუშავებულ კომპიუტერულ მოდელებს ეყრდნობა ენის მოდელირების ასოციაციის მიერ 2006-2008 წლებში შექმნილი „ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული სისტემა".

თედო უთურგაიძე არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 40-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი და სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია: „თუშური კილო" (1960 წ.), „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება-ნი" (1966 წ.), „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა" (1976 წ.), „ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი" (1986 წ.), „ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა" და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა" (ე. ბაბუნაშვილის თანაავტორობით) (1999 წ.), „ქართული ენის შესწავლის ისტორია" (1999 წ.), „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში" (2002 წ.), „ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში" (2009 წ.), „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები" (2013 წ.), „ქართული ენობრივი სისტემის საკითხები" (2016 წ.).

თედო უთურგაიძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და უნივერსიტეტში. 1953-1961 წლებში მუშაობდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დოცენტად, 1971 წლიდან 1975 წლამდე კი იმავე ინსტიტუტში — ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე პროფესორად; 1985 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო და ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში თემებზე: თანამედროვე ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ენის შესწავლის ისტორია, ენობრივი სისტემები ქართულ ენაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები, ქართული ენის სტრუქტურული ანალიზი, ქართული ენის ენობრივი სისტემები, ქართული ენის შესწავლის ისტორია, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები, ქართული ენის შუალედური სისტემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისთვის 2013 წელს თედო უთურგაიძე დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით.

თედო უთურგაიძე ხშირად სტუმრობდა ქუთაისს, გელათის მეცნიერებათა აკადემიასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დაუვიწყარია მისი გამოსვლები, პაექრობა, მოხსენებები, თითოეული შეკითხვა თუ შენიშვნა სამეცნიერო ფორუმებსა და შეკრებებზე. დაუვიწყარია ბატონ თედოსთან ჩემი პირველი შეხვედრა რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე გორის სასწავლო უნივერსიტეტში 1991 წელს. პირველი კადრი, რაც თვალწინ წარმომიდგა ბატონი თედოს ამიერიდან გასვლის დღეს, იყო სწორედ ამ კონფერენციაზე დიდ დაფასთან ცარცით ხელში მდგომი და მოპაექრე ბატონი ბესიკ (ბესარიონ) ჯორბენაძე და თედო უთურგაიძე. მას შემდეგ არ მომკლებია მისი მხრუნველი თვალი და ყური. იგი მართლაც ყველას მოძღვარი და გულშემატკივარი იყო, როგორც მისი მოწაფენი წერენ:

„დღეს სახლიდან ვერ გავედი. აი ასე, მოკუნტული ყოფნა მინდოდა და ახალ სამყაროსთან შეგუება... მერე დედაჩემს დავურეკე და ვუთხარი ბატონი თედოს გარდაცვალების ამბავი. ერთხანს დუმდა. მერე მეუბნება: — 17 წელი მე გზარდე, შვილო, 40 — მაგან. რა გითხრა, რით განუგეშო. მოგიკვდა დედა შენ!.. მარტო დედის გულს შეუძლია ასეთი თანაგრძნობა. მარტო მასწავლებელმა შეიძლება ასე დაგაობლოს, მშობლების გარდა... ყველა ჩვენგანის ერთი ტკივილია. ყველას დედა ასე იტყოდა. ბატონ თედოს ჩემთვის არ უსწავლებია, თუმცა დედაჩემმა სწორედ ის დაინახა, რაც იყო — ის გაცნობის და ურთიერთობის დღიდან ყველასთვის მოძღვრად იქცეოდა ხოლმე. ბოლომდე" (კომპიუტერული დამუშავების განყოფილების ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მარინა ბერიძე: FB, 13.02.2018, 23:28).

ღირსეულად დაასრულა ამქვეყნიური სიცოცხლე დიდებულმა მოძღვარმა და შეუერთდა ზეციურ საუფლოს. „არ შეწყვიტონ მუშაობაო", — მისი უკანასკნელი სურვილი გახმიანდა მოწაფეთა, ყველა ჩვენგანის გასაგონად.

ბატონი თედო უთურგაიძე — მხოლოდ ზეაღმატებით რომ უნდა ისაუბრო მასზე, როგორც ბუმბერაზ პიროვნებაზე, მეცნიერზე... ყველასთვის ერთნაირად გამორჩეული, ყველასთვის ერთნაირად ახლობელი ყველას ერთნაირად დააკლდება, მომავალს კიდევ უფრო მეტად დააკლდება...

რუსუდან საღინაძე
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

თედო უთურგაიძე ონომატოლოგიურ კონფერენციაზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 01.12.2013

უსასრულოდ დასმული შეკითხვების მიღმა დამალული ერთი პასუხი...

ის მუდამ გაბრაზებულია....., მას სულ რაღაც აწუხებს....., ზოგჯერ მეჩვენება, რომ სითბოს გაცემა საერთოდ არ ძალუძს... რამ?... რამ შეიძლება აქციოს ყინულის მსგავს არსებად? ამგვარ დახასიათებაში ყველა ამოიცნობს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, ბევრი კიდევ საკუთარ თავს, რომელიც აქამდე ვერ უბედავდა ,,რეალურ მე"-ს მსგავსი სიტყვებით შეფასებას. რატომ? იმიტომ, რომ მე ჩემი პიროვნული ქურქით შემოსილი შეჩვეული ვარ ამ ყოფის საკადრის სახეს, მაღიარებენ ასეთს, მიღებენ ასეთს და უკვე ძნელი ხდება ახალი ქურქის მორგება, სადაც მსგავი მოთხოვნილებები აღარ დამიკმაყოფილდება. რა დავარქვა ამგვარ ყოფას? - ცხოვრება?.... ეს ხომ გამძლეობა-ამტანობის გამოვლინებაა მხოლოდ და არა არსებობის სასურველი ფორმა... არის კი საკმარისი ამგვარი მოთხოვნები საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრირებისთვის? .... მე სხვა რამ მჭირდება სრულყოფილებამდე...!!!

რა არის ის, რაც ცხოვრების ყველა სახის გამოწვევას დაგვაძლევინებს, კოლოსალურ ძალ-ღონეს შეგვმატებს და განგვაწყობს მის გასაუნებელყოფად?

რა არის ის, რაც შინაგანად გვანგრევს, გვთელავს? ნუთუ ისევ ჩვენს ინსტინქტებსა და სურვილებთან მუდმივი ჭიდილი? რა სურვილი უნდა ამოძრავებდეს ჩემს ,,მე"-ს, რომ მისივე სამყოფელი ხორციელი კოლბა სულიერ სივრცეში ქაოტურად გაბნეული სურვილების სუბლიმაციას დასანგრევად გაამეტებინოს? ეს ხომ უკვე ის კოლბა შეიქმნა, რომელშიც სურვილთა შეზღუდვამ ემოციური ტემპერატურა მაღალი მაჩვენებლით ვედარ დაარეგულირა და საბოლოოდ ბიძგი მისცა შინაგანი აფეთქებისკენ... იქცა ავ - კაცად ან ავ - ქალად ..... ავ არსებად, მასში გაიღვიძა ღრმად მიმალულმა ,,ტრამალის მგელმა" ....იგრძნო გაორება, შეგრძნებათა ამბივალენტურობა....რამ გამოიწვია ხასიათის ჭექა-ქუხილი? .... მისსავე ადამიანურ არსში მოჭიდავე ბოროტისა და კეთილის ცივი და ცხელი ადამიანური ბუნების მასათა შეჯახებამ.

შექმნა საუცხოო...არარა აქცია უკვდავებად... შთაბერა სიცოცხლის სული და საბოლოოდ გაანადგურა მედინი, შეიმოსა დაუძლეველი ძალით ჭირთან მუხლჩაუხრელი ბრძოლისთვის.....როგორ? რით? რამ მისცა მას უშრეტი ენთუზიაზმი?

მისცა თავის თავს სრული თავისუფლება, დიახ ,,თავისუფლება"...მისცა ინსტინქტებს თავისუფლად დინების საშუალება...მანაც არ დააყოვნა... სურვილთა წყლისნაირმა მჩქეფარე ჭავლმა მოიარა გარემო, შეერია მისნაირთა თავისუფალ თუ ნაკლებად თავისუფალ ნიადაგს, დაეხარბა მის წიაღს, შეიცნო მისი თავაშვებული ყოფის ველური ბუნება, მისი ყველა ღირებულება წამიერად მოიტაცა და უნორმოდ, დაუნაწევრებლად ხუთივე შეგრძნების ორგანოს შთაანთქმევინა თავისი წილი ლუკმა....მშიერი თავისუფლება დაოკდა, ემოციური კუჭი დაკმაყოფილდა....მაგრამ.... მიხვდა.... მიღებული ის არ არის, რასაც ელოდა და რომ მას სხვა რამ სჭირდება ასეთი შიმშილისა და სიხარბისათვის.....ნეტავ რა?

ყოველი დღე შრომა, ჯაფა, ნაკლები ძილი და მოსვენება, ზრუნვა და ფიქრი შვილებზე, მუდმივი შიში ბედისწერის უშნო ხუმრობამ არ მოგტაცოს რომელიმე მათგანი. არაფერია გამორიცხული ამ უცხო მხარეში მოგზაურობისას. რატომ ამდენი ფიქრი, წუხილი და განცდა?

იღვაწა ბევრი, ძალიან ბევრი კეთილი საქმით დიდისა და პატარასთვის, იმ მსოფლხედვით რომ ,,ქვაზე დადებული" სიკეთე უკან მობრუნებულს ხელს მოუმართავდა საქმით თუ არა კეთილი სიტყვით მაინც, რომელიც დაბერებულ გულს სიამის გრძნობით აუვსებდა. მაგრამ ....მაგრამ .... იმედგაცრუებამ, ტყუილმა მოლოდინმა შხამივით ნელნელა შეაღწია მის სულში, მოაშთო მთელი მისი შიგანი და უდაბნოდ აქცია ის. მოეღრუბლა გუნება, ეწყინა და თან ეტკინა....რატომ? .... რატომ გავიწყდება ადამიანო!, რომ იმ ხალხის მოდგმა-ჩამომავალი ხარ, ვინც ქრისტეს ჩვენივე ცოდვებისთვის თავგანწირვისა და თვითშეწირვის მიმართ უსაზღვრო მადლიერების გამოხატვის სანაცვლად ჯვარზე გაკვრით ამოხადეს სული.... მაშინ შენი კენჭისოდენა სიკეთე რა მოსატანია ქრისტეს უსაზღვრო ალტრუიზმსა და სიკეთესთან... საინტერესოა სწორედ ის სხვა რამ, რის გამოც დაითმინა მან ესოდენ დიდი ტანჯვა?..... ჰო, მაგრამ არ დაგავიწყდეთ უბრალო მომაკვდავი ვარ, ერთი გაელვება დედამიწაზე და მეც მინდა შევიგრძნო წუთის მეასედში ჩემივე მარჯვენით დათესილი სიკეთის მადლი!!!...

საზოგადოებრივი რუპორი ადამიანურ სამყოფელში შეუბრალებლად გაჰკივის...,,ხალხი გაცივდა, არავის ენდოთ!!!" თითქოს გვაფრთხილებს. მართლაც! ტყუილი საუკეთესო ნიღბად იქცა ცხოვრებისეულ ავანსცენაზე, ჩაანაცვლა სხვა ღირებულებები, ფარისევლობის სკიპტრით დაიგრგვინა მისსავე ნიადაგზე და ძაღლის მსგავსად მოინიშნა სამფლობელო სივრცე. მესაკუთრული სულით გაჟღენთილებს ტყუილის გმობა აზრადაც არ მოგვსვლია, პირიქით, მისი ყოველგვარი გამოვლინება ,,მოხერხების" ტერმინით შევამკეთ და მეტიც, სიამაყით აგვევსო დადებითმუხტგამოცარიელებული და ფარს ემოციას შეგუებული გული.

ამგვარმა ყოფამ ცხოვრებისეულ ლაბირინთებს ათასი შესასვლელ-გამოსასვლელი გაუჩინა. ისე, რომ ადამიანი არიადნეს ძაფითაც კი ვერ დააღწევს მისგან თავს...რამ აარჩევინა ბრბოს ნაწილ ადამიანს ტყუილის გზა, რის ნაკლებობამ გააკეთებინა ამგვარი არჩევანი?

იცით, მე ყოვლისშემძლე ,,მსოფლიო აბლაბუდა" — *WWW* ვარ. ჩემი ქსელის მაგნიტურ ველში მყოფედ გამონასკვულმა ღრმად სენსიტიურმა არსება - ადამიანმა ,,Homo faber" -ის მწარმოებლური სული შეიძინა, ჩემგან შექმნილ ცივ კედელს მიეყრდნო და ღრმაადამიანურ ურთიერთობებს ზურგი აქცია. შევქმენი ვირტუალური სამყარო და თავი მოვუყარე ყველას დიდსა თუ პატარას, მოვწყვიტე რეალურ სამყაროს, ჩავითრიე ჩემს არარეალურ, წარმოსახვით და ერთი შეხედვით რეალურ სივრცეში და ყველა ვირტუალური საღათას ძილით დავაძინე. მე მათ შევთავაზე ახალი ტექნოლოგიების სიახლეთა ზღვა ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ისინი გადაეშვნენ უტოპიაში. .....უამრავი მოთხოვნა წამიყენეს და არც მითქვამს უარი. მივეცი ისინი და შემიძლია მივცე ამაზე მეტი მომავალში.... მაგრამ, შეჩერდი ადამიანო! დაიღუპები! მოისპობი მორალურად და განადგურდები ფიზიკურად, არ დაგავიწყდეს ვირტუალურ სივრცეში ხარ და არა რეალურ სივრცეში, სადაც ყველაფერი სხვა ფერია, სხვა გემო და სხვა სუნი აქვს. შენ ჩემს ქსელს ჩაბღაუჭებული გადაეჩვიე ყველაზე მთავარს, რის გამოც ღირს დაიბადო ადამიანად, რის მოცემაც მე არ შემიძლია ... ნეტავ რაზე საუბრობდა მისი აღმატებულება *WWW*?

რატომღაც ვფიქრობ, რომ ყველა გზა მხოლოდ რომისკენ მიდის და ყველა კითხვას ერთი პასუხი აქვს...

სიყვარული

თამარ შანიძე
განათლების დოქტორი

ბედნიერება...

ბედნიერება ეს ის სამყაროა, რომელსაც მშობლები გვიქმნიან! შემდეგ დრო დაუნდობლად გვინგრევს მას და გვრჩება ლამაზ მოგონებებად ქცეული ტკივილი... მე ძალიან ხშირად ვფიქრობ ამაზე გზაზე, ბედნიერებიდან ტკივილამდე!...

საღოლ თურქეთი!

ივლისის თვეში თურქეთში ვისვენებდი. საოცარია, ზღაპარია! ამქვეყნიურ სამოთხეს ჰგავს - მიწაც მოვლილია და ხალხიც... დათვალიერებისას ესენინის სიტყვები მახსენდებოდა:-,,ია ნეკოგდა ნე ბილ ნა ბოსფორი"...თითქმის ბოდავდა ადამიანი ბოსფორზე! მერე აუხდენელი ოცნების გამო ბათუმს მიუძღვნა ლექსები.

-ეხ,სერგეი! ცოტა გვიან უნდა დაბადებულიყავი,მაშინ ბოსფორსაც ნახავდი და პარიზსაც! არც ფრთებს დაგაჭრიდნენ და არც სუიციდით დაამთავრებდი ლამაზ სიცოცხლეს! მენანები, მთელი ცხოვრება მენანები...

ესენინი იქეთ იყოს და, მართლაც საოცარ ქვეყანაში მოვხვდი: უსაზღვროდ ლამაზი მიწა-წყალი, ბუმბერაზი,ცად აზიდული ნაცრისფერი მთები, სამეფო პალმები, უცხო, გასაოცარი რელიეფი!...

ამ ხალხს ეს ყველაფერი კალთაში არ ჩავარდნია! ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია, დააწუხეს თუ შეაღონეს მთელი მსოფლიო. უშველებელი,დედამიწის ულამაზესი მიწები მართლმადიდებელ სამყაროს თვალწინ აცალეს!-ეს ძველ ისტორიაში... არც ახალში დარჩენილან ვალში! ათათურქმა ლამის მიწიდან ამოთხარა და ახალი სული ჰშთაბერა ერს - უკვე ძალაგამოცლილს, ფეხზე წამოაყენა და უზარმაზარი იმპულსი მისცა. უახლეს ისტორიაში ხომ მთლად საოცრებები აკეთეს: -ღირსეული, პოლიტიკური პარტნიორების დახმარებით სული მოითქვეს,ქვეყანა ეკონომიურად განავითარეს, ხალხს უპატრონეს. დღეს ის წარმატებული ქვეყანაა, ჰყავს ძლიერი ჯარი, ფლოტი, პოლიცია. აქვს განვითარებული მრეწველობა და სამედიცინო მომსახურეობა. ქვეყანა ჰყვავის. ათათურქის სახელზე ლამის ბოდავენ, აივნებზე ეროვნული დროშები აქვთ გადმოფენილი. ისღა დამრჩენია, ისტორიული მეტოქის წარმატება ვაღიარო და გულწრფელი აღტაცებით ვთქვა: -საღოლ თურქეთი!

ბოსფორის ბაზრობა...

სალომეს ხიბლიანი სახე მზისთვის მიეშვირა და თვალებში ჭინკები უხტოდნენ!.. ახლა ის ზრდილობიანად უსმენდა შორიახლოს მდგარ თურქის ლამაზ, ცისფერთვალება ბიჭს (მართლაც ბუნების იშვიათ საოცრებას) და ლოყაზე ფოსო ღიმილით ეჭყინტებოდა...

-სალ, წამოდი,თორემ მაგ ახალგაზრდას მგონი დაავიწყდა, რისთვის დგას დახლში! - სიცილით ვეუბნები დისწულს.

-რაო, რას გეუბნებოდა ეს რახათლუხუმივით ჩამტკბარი თურქი, სალ? - თითქმის ერთდროულად გაგვიჩნდა შეკითხვა მე და ჩემს დას, როცა ბოლოს და ბოლოს მოშორებით მდგარმა ბიჭმა ინგლისურად ჟღურტული დაამთავრა. სალი გულიანად კისკისებდა: -რამდენი წლისა ხარო?

-ბიჭოს! მერე?

-მე ვუთხარი 23-ის მეთქი.

-მე კი 24-ის ვარ და თუკი ცოლად გამომყვები ფულის გადახდა შემიძლიაო - საქმეზე გადასულა თურქი.

-მოიცა, შენ გადაგიხდი ფულსო?- ჩაეკითხა ჩემი და.

-არა, შენ კი არა, პატრონსო - დაუზუსტა პასუხი სალომემ.

-აა, პატრონსო?! - გაიმეორა მადონამ უფრო დამშვიდებული ტონით.

-რა იყო, მგონი მოგეწონა შემოთავაზება! ახლა გეშველა, იმისთანა სარფიანი გარიგებაა, ერთიანად ამოიღებ რაც გიშრომია!.. - გულიანად ვხარხარებ მე.

-არა, იდეა როგორ მოეწონა, გულწრფელად ჩაფიქრდა! - მხარს მიბამს სალომე და კისკისს აგრძელებს.

-რა ყველაფერი უნაირო ამათ სჭირთ! - ბუზღუნებს მადონა.

-როგორ შეუძლიათ ახლაც, ამ დროშიც ასე ივაჭრონ ცოლებზე!

-არა, მაგ წესი აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაშია, იქამდე ბიბლიურ ებრაელებსაც ხომ ჰქონდათ! - საქმე შევარბილე მე...

-რის აღმოსავლეთი, რა აზია! ბნელი და უგვანო წესები აქვთ და კიდევ ვერ გამოსულან მაგ აზროვნებიდან! - არ ცხრება ჩემი და...

ჩვენი მოხდენილი და ტანადი გოგო გზაზე წინ მიირწევა.

-მერაბა! (გამარჯობა) - ზრდილობიანად ესალმებიან და თვალს აყოლებენ თურქები.

-მერაბა! - ღიმილით პასუხობს სალი.

მადლობა უფალს, ქვეყანაც ნორმალური გვაქვს და აღარც ამათი უღელი გვადგას კისერზე, ძალით თუ არ დავიდგამთ! უფალმა წაღმა გვატაროს - ვფიქრობ ჩემთვის და ცას ვუსწორებ თვალებს...

ქეთევან უკლება

მთავარი რედაქტორი **გია ხოფერია**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
კორესპონდენტი **თამარ გუმბერიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com